

განათლება+

№4 (4603)

25 მაისი

2022 წელი

saxgani@gmail.com

ფასი 1.50 ლარი

გილოცავთ!

26 მაისი დაბოუკიდებლობის დღეა!

ბამოცდილება – „ყოველთვის, ყოველ დროს, ყოველგან!“
დემურ კალანდაძე – 80

ისე არაფერი ამზენებს იუბილარს, როგორც პროფესი ბამოცანილი სიბაბაძე



„კურთხეულია ნაბიჯი ვალ-მოსხლისა!“ სახალხო მოღვაწეზე როცა ვწერ, თანამედროვე კორიფეთა თანავარსკვლავედში მოვიზარებ მას.

დამდგარა ჯერი დემურ კალანდაძისა. უყოყმანოდ შემიყავს იგი იმ ოჯახში, რომლის წევრები იყვნენ და არიან განათლების დარგის გიგანტები, დიდი დირექტორები: გრიგოლ კობახიძე, დავით გონდაური (თბილისის 77-ე სკოლა), ლევან ჩიქვანია (I ექსპ.), ლიანა შენირული (I გიმნაზია), თამარ ლაშქარაშვილი, აკაკი კვიციანიძე (მე-8), აკაკი ელიაური (166-ე), დღეს მოქმედი დირექტორები: მიხეილ მინდაძე (161-ე), თენგიზ გულორდავა (106-ე), ალექსანდრე ჯავახიშვილი („ალბიონი“) და სხვები.

„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, მოსმენა ამაღ კარგი“.

სტატიის წერა გამაიღვილა ჩვენი რედაქტორის ნათელა ქიქვიციანის ბრწყინვალე ინტერვიუმ სათაურით „ფუძე დამილოცეთ სკოლისა!“ („სახალხო განათლება“ 7 მაისი, 2003 წელი).

საოცარი პიროვნება გახლავთ ბატონი დემური, მუდამ სიახლის მაძიებელი, დაუდგრომელი შემოქმედი, 26 წლის ჭაბუკი უკვე იყო მის მიერვე დაფუძნებული თბილისის 48-ე სკოლის დირექტორი. მანამდე კი თავდადებული შრომით შეძლო პროფესიონალად გამოწოდება. „მაგრამ მართო წერტონა რას იზამს, თუკი ნიჭმა არ უშველა?“ „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი!“

...1968 წლის 1 სექტემბრამდე ცოტა დრო რჩება. 48-ე სკოლა საზეიმოდ უნდა გაიხსნას. მზად-

ბა, ფუსფუსი, ენთუზიაზმი... „როგორ შევეყრები მე ჩემს სკოლას და როგორ შემეყრება იგი მე?“ - ფიქრობს ახალბედა დირექტორი. მუშებთან ერთად ეზიდება ახალ ინვენტარს...

მანამდე კი ნაძალადევის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ, დიდმა პედაგოგმა მამია გოგიტიძემ და ბატონმა დემურმა სკოლა დააკომპლექტეს პირველი მასწავლებლებით. აი, ის მესაძირკვლები: მერი აფხაზავა, ყუყუნა ხელაშვილი, ნუნუ სალუქვაძე, გურამ დევედარიანი, მერი მიდელაური, სვეტლანა ჯერვალიძე, ზინა ალიმბარაშვილი, გულიკო გიორგაძე, ნადია რაზმაძე, მარიამ მურატიდი, გუგული მალაქელიძე, ეთერ ირემაშვილი, ზეინაბ მელაძე, გულიკო ჩაჩავა, მადლენა იმ-

კვლიანებულნი დირექტორებად სკოლებს კიდევ „შესევინა“: მანანა ფურცელაძე (მე-9), ნანა ჯულია (მე-12), ვერა ყურულაშვილი (მე-13), გულიკო ჯაშაშვილი (მე-15), სოსო და დავით ლაგვილაძეები (142-ე, 143-ე), დავით ბინაძე (148-ე), დავით კეკელია (190-ე), ია ასლამაშვილი (129-ე), დემურ ბერია (164-ე), ელისო ანჯაფარიძე (მე-10) და ბევრი სხვა.

ისევ 1968 წლის 1 სექტემბერი. ზეიმია 48-ე სკოლაში, სიხარულია დაფუძნებისა, სწავლის დაწყებისა. აი, „დაუპატიუებელი“ სტუმრებიც: ვასილ მუჟაანაძე, თამარ ლაშქარაშვილი, ნინა ყვანია...

ზოგი რამ დემურ კალანდაძის მიერ რეფორმის კუთხით დანერგული სიახლეებიდან: ქართული ენის პრიორიტეტი – ყველგან!



მესაძირკვლები

ნაიშვილი, მერი გოცირიძე, ლენა დოტიაშვილი, ლილი მემანიშვილი, ლილი ნაცვლიშვილი... ბევრი მათგანი თავად გახდება შემდგომში წარმატებული დირექტორი. ბარემ აქვე ვიტყვი: მომავალში ბატონი დემურის და-

დიფერენცირებული სწავლების ახლებური ხედვა, დირექტორთა სათათბირო და კადრების აღზრდის ახალი საბჭოების შექმნა, გახანგრძლივებული სწავლების კლასები, საკვირაო სკოლები და ა. შ.



26 წლის დირექტორი



ნინა ყვანია ულოცავს

დემურ კალანდაძის ღვანლის სრულყოფილად წარმოჩენას ჩვენი გაზეთის მთელი ნომერიც ვერ გასწვდება, მაგრამ ცალი თვალთ მანინც ჩავიხედოთ მის ბიოგრაფიულ კალენდოსკოპში: მოსწავლეობიდან და სტუდენტობიდანვე იყო ბატონი დემური ყველაფერში პირველი და ლიდერი. თბილისის რკინიგზის ნომერ 1 და მე-12 საჯარო სკოლების აღმზრდელ-ორგანიზატორი, ქიმიის მასწავლებელი, საქარხნო რაიონის განათლების განყოფილების გამგე, სახალხო კონტროლის თავმჯდომარე, 15 წელიწადი — ნაძალადევის რაიონის განათლების განყოფილების გამგე, ათ წელზე მეტი — 112-ე საჯარო სკოლის დირექტორი. ყველაფერი რომ შევჯავამოთ, ნახევარ საუკუნეზე მეტი გამოდის შემოქმედებითი გზებით, ძიებით, მიგნებით, ახლისქმნის მალალ ნაყოფიერებით გაჯერებული ცხოვრება.

გალაკტიონი იტყოდა: „კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაუღვევლი!“ ნამდვილად ასეა, კიდევ ბევრია სათქმელი იუბილარზე

„სადღეგრძელომ“ გამახსენა: ბატონი დემურის თამაძობა სუფრის მშვენიერება, ნამდვილი აკადემიაა, სიხარულის მომნიჭებელი. ყოველი საჯარო გამოსვლა კი, - ორატორული ხელოვნება?

მომისმენია შალვა ნუცუბიძისთვის, უშანგი ობოლაძისთვის, სიმონ სხირტლაძისთვის. დემურ კალანდაძე დაუვიწყარია! იუმორი გინდა, გურული იუმორი? ენამოსწრებული რეპლიკის მშ-

ვენება... 48-ე სკოლა, ინვენტარის შეზიდვისას მანქანიდან მერხი გადმოგორდა, მხრებზე დაეცა, ერთი არ დაუკვნესია, „მაცალეთ დირექტორობა!“ — წამოიძახა სიცილით.

ზუსტად ბატონი დემურის მისამართით უთქვამს იოსებ ნონეშვილს: „ეცადენ და ვერ გამხადეს ბოროტი, უნდოდათ და ვერ გამხადეს ფლიდი, ცხოვრებაში კაცად დარჩე ბოლომდის, მარტო ესეც გმირობაა დიდი!“

დიახ, დემურ კალანდაძე კაცად დარჩა და ბევრი სიკეთეც თესა, რომლის ნაყოფი სამკაულად ადგას და გამოადგება ქვეყანას.

ჩვენი იუბილარი ბიოლოგია-ქიმიის ჩინებული სპეციალისტია, რაც იმას ნიშნავს, რომ კარგად ფლობს სიცოცხლის ხანგრძლივობის საიდუმლოს.

ჯანმრთელობას გისურვებთ, ბატონო დემურ! ასი წლის ასაკობრივი თამასა ისე იოლად გადაგვლახოს და დაგვეძლიოს, როგორც კარგი სადღეგრძელო!

ბორის მიშველაძე,

პედაგოგიკის დოქტორი, საქ. დამს. ყურნალისტი

P. S. ბატონი დემური მუდამ იყო და არის ჩვენი ას წელს მიახლოებული გაზეთის ერთგული, დამხმარე, აქტიური თანამშრომელი. ბევრი სიკეთე გვახსოვს მისგან. რედაქციის სახელით დიდი მადლობა მას!

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

შპს „მჭევრი“ ქვეყანას ბიზნესმენებს უზრდის



კერძო სკოლებმა იმედები გაამართლეს. ამჟამად უკეთესად მიმდინარეობს აქ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, ვიდრე საჯარო სკოლებში: მაღალია სწავლების ხარისხი და შედეგები. თითქმის 30 წელია დადასტურებული საუკეთესოთა შორის არის შპს „მჭევრი“, დამოუკიდებელი ბიზნეს-სკოლა. მჭევრმეტყველურად თუ ვიტყვით, მუდამ პირველია იგი, მუდამ ლიდერია. თავისით არაფერი მოდის. ყოველივე, რის შესახებაც ქვემოთ გვსურს საუბარი, დიდი შრომის შედეგად არის მიღწეული. შრომისმოყვარე პედაგოგები და სკოლის ხელმძღვანელებს კარგად აქვს გათავისებული ერთი ბრძენკაცის შეგონება: „კადრები წყვეტენ ყველაფერს!“ მართლაც, „მჭევრში“ თავდადებით იღვნიან ჭეშმარიტად პროფესიონალი პედაგოგები და სხვა მუშაკები

დიდი დირექტორის თამაზ ნაცვლიშვილის წინამძღოლობით.

გასულ საუკუნეში ყველაზე გამორჩეულ, პოპულარულ, დიდად ნაღვან ხელმძღვანელებს ეძახდნენ დიდ დირექტორებს... ჰოდა, ბატონი თამაზი მეოცე საუკუნიდან მოდის და იმ დიდ დირექტორებში დაიმიჯნა ადგილი, როგორც იყვნენ და არიან: გრიგოლ კობახიძე, ლევან ჩიქვანია, ლიანა შენირული, დემურ კალანდაძე, მიშა მინდაძე, თენგიზ გულორდავა, ალექსანდრე ჯავახიშვილი და სხვები. უფრო მეტიც, დირექტორების ხელმძღვანელები იყო, წლების მანძილზე ნაყოფიერად უძღვებოდა მაშინდელი საქარხნო რაიონის განათლების განყოფილებას.

დღევანდლობაზე საუბრის დრო დამდგარა - კონკრეტულად საუბრის.

„მჭევრიდან“ კომპეტენტური წერილი მივიღეთ, რომელსაც გთავაზობთ უცვლელად.

გაყსადლის პირობებს თავს კარგად ვართმევთ

შპს „მჭევრის“ დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლა არსებობის სამ ათეულ წელს ითვლის, სადაც დაგროვდა გარკვეული წარმატება და გამოცდილება. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით დღეისათვის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში

თანხვედრისთვის; რაც აისახა მოსწავლეთა ზნეობრივ, სულიერ, ინტელექტუალურ, შემეცნებით, სპორტულ და ადამიანური რესურსების ჩამოყალიბებისათვის ჩალმავებასა და განვითარებაში.

პირველყოფილია მნიშვნელოვანია სკოლის მართვა, რომელსაც ღრმად, დიდი პედაგოგიური გამოცდილებითა და ავტორიტეტით წარმართავს მეტემენტი. სკოლის ადმინისტრაცია დღეიდან ზრუნვით აღწევს სასწავლო პროცესის სრულყოფასა და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას.

ქვეყანაში არსებულმა პანდემიამ გავლენა იქონია სწავლის პროცესის მიმდინარეობაზე. რეგულაციები ითვალისწინებდა როგორც ონლაინ, ისე ჰიბრიდულ სწავლებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესის რეგულირებისათვის სკოლამ ყველა საკლასო ოთახი აღჭურვა კომპიუტერითა და მუდმივი ინტერნეტ კავშირით, რამაც ხელმისაწვდომი გახადა გაკვეთილების ცხრილის მიხედვით ჩატარება, ყველა მოსწავლის დასწრება, ინტერნეტში მოძიებული საგანმანათლებლო რესურსის გამოყენება და შესაბამისად მასალის ათვისება. აღნიშნული საკითხის მოგვარებას ხელმძღვანელობდა სკოლის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მენეჯერი და მასწავლებელი ნათია ნიკოლიშვილი თითოეულ პედაგოგთან ერთად.

სკოლის საქმიანობის ძირითადი დევიზია „თუ გსურთ თქვენი შვილი იყოს წარმატებული, გასოვდეთ მყარი ცოდნა გამარჯვების საწინდარია“.

საგნობრივ კათედრებს ხელმძღვანელებენ გამოცდილი პედაგოგები. ხშირია კათედრების სხდომებზე იმ აქტუალურ საკითხებზე მსჯელობა და შეჯერება, რაც



მნიშვნელოვანია და ყურადღება სწავლის ხარისხის ამაღლებისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის. ასევე საფუძვლიანად ეკიდებიან მასწავლებლის ობიექტურ შეფასებას. მასწავლებელი ფასდება მოსწავლის შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესების მართვით.

სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ხელს უწყობს მოსწავლეთა სულიერ, ინტელექტუალურ და ფიზიკურ აღზრდას. ამაში გვეხმარება სხვადასხვა კონკურსებში მონაწილეობა, ექსკურსიები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, რაშიც მნიშვნელოვან როლს შეასრულა პანდემიამ. სკოლა პერიოდულად სტუმრობს პრეზიდენტის რეზიდენციას, პარლამენტს, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელს. წლებია სკოლა მუშაობს კავკასიის უნივერსიტეტთან (რექტორი კახა შენგელია), რომელთანაც გაფორმებული გვაქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მათთან ურთიერთობაში ხდება სკოლის მოსწავლეთა მიერ საინტერესო ბიზნეს პროექტების შემუშავება, განხილვა და დაცვა. სკოლა ამაყობს იმ კურსდამთავრებულ მედალოსნებით, რომლებიც აგრძელებენ სწავლას საზღვარგარეთის პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში და შემდეგ საქმიანობენ სხვადასხვა სფეროში.

სკოლაში მუშაობს სხვადასხვა

წრე, სპორტული, ქორეოგრაფიის, ქართული ხალხური საკრავების და სხვა.

პედაგოგიური კოლექტივი და მოსწავლე ახალგაზრდობა მხარს უჭერს და თანაგრძნობას უცხადებს ჩვენს მეგობარ უკრაინელ ხალხს და ვუსურვებთ ომის დროულად დამთავრებასა და გამარჯვებას. აღნიშნულ საკითხს მიეძღვნა ხატვის კონკურსი „უკრაინა ჩვენი ტყვილია“. შერჩეული ნამუშევრები გამოიფინა სკოლაში.

კიდევ ბევრი ახალი პროექტის განხორციელებას აპირებენ.

გაუსაძლის პირობებს თავს ვართმევთ, - მეტად თავმდაბლური ნათქვამია. მესამე წელია კვიდ ვირუსი დათარეშობს. ამას უმკაცრესი ზამთარიც დაემატა, ბოლოს ომაც შეგვაზანზარა. ასეთ ვითარებაში საქმეს რომ თავი გაართვა, როგორც ნონეშვილი იტყობა ხოლმე: „მარტო ესეც გმირობაა დიდი“. „მჭევრელებმა“ თავი გაართვეს კი არა, ახალი რუბიკონი წარმატებით გადალახეს. ეს შედეგები სულ მალე, სასწავლო წლის დასასრულს გამოჩნდება, როცა კვალიფიციური ბიზნესმენები ჩადგებიან ჩვენი ქვეყნის სამსახურში.

ახალ-ახალ წარმატებებს გისურვებთ, „მჭევრელებო“!

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის მეცნ. დოქტორი

შპს „NK“ - წარმატებული ლიცეუმი

ამ მოზარდებს ცხოვრებისთვის ამზადებენ



ამ ლიცეუმის მაგალითზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: კერძო სკოლებმა გაამართლეს თავიანთი დანიშნულება.

მეოთხედ საუკუნეზე მეტია, მუდამ ლიდერობს „ენკა“ გამოზრდითი, ეროვნული დირექტორის ნუგზარ ყენიას მეთაურობით. ბატონი ნუგზარი მე-20 საუკუნიდან მოდის. „იმ ეპოქაში უდგას ფეხები, როგორც წყალში დგას წნორის ძირები“. დიდხანს დიდი საქმეები აკეთა სახელოვან 47-ე საჯარო სკოლაში და მონივნავე გამოცდილება ლიცეუმში უფრო გაამდიდრა. მას არავისგან ესწავლება პროფესიონალების შერჩევა, კარგად იცის ერთი ბრძენკაცის მარადიული აქსიომა: „კადრები წყვეტენ ყველაფერს!“ ჰოდა, ლიცეუმში დააფუძნა ძლიერი, მცოდნე, შრომისმოყვარე პედაგოგებითა და სხვა მუშაკებით. მხარს უმშვენიერად მას გამოცდილი კადრები: აღმასრულებელი დირექტორი ედვარდ კაკაბაძე, მოადგილე ნუნუ მუჩიაშვილი, მრჩეველი ლია კობეშვილი და სხვები.

ამ ურთულეს ფაზას, როცა ერთი პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ: „სამი წელი - „ვაი, დრონი!“ თავს დაგვიხაზის ომიკრონი“, ასევე საშინელი ზამთარი გამოვიარეთ

და მსოფლიოში დამთრუნველი ომი მძინვარებს, ლიცეუმმა წარმატებით გაართვა თავი ყველა პრობლემას. უფრო მეტიც, მეტად შრომატევადი პროექტ-პროგრამებიც ნაყოფიერად განახორციელა. სწორედ ამ საკითხზე მინდა მოგიხსნათ სკოლიდან გამოგზავნილი ინფორმაციის საფუძველზე.

გაკეთებული და გასაკეთებელი საქმეები

სკოლას 27 წლიანი გამოცდილება აქვს. მისი აკადემიური პერსონალი გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციით და ინოვაციური სწავლების მეთოდებით.

პანდემიით გამოწვეული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე სკოლა-ლიცეუმში პირველივე დღიდან სიტუაციიდან



თავრებულს გადაეცა 9 ოქროს და 2 ვერცხლის მედალი.

პირველი სემესტრი მაღალი აკადემიური შეფასებით დახურა სკოლის მოსწავლეთა 75%-მა და შესატყვისი შეფასება დაიმსახურა. მეორე სემესტრი დავიწყეთ რეგულაციების სრული დაცვით. ასევე მოქმედებს ჰიბრიდული სწავლება მოსწავლეთა სურვილის შესაბამისად.

მაღალია კარიერული ზრდის მაჩვენებელი. სკოლაში ასწავლიან



ტიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა - ნანული ბებია; დანყებითი კლასების - ირმა ელიზბარაშვილი; უცხო ენების - თამთა კვლენჯერიძე; ესთეტიკის და სპორტის - ნინო დაუშვილი.

კლასის ხელმძღვანელთა როლი ძალიან მნიშვნელოვანია აღზრდა-სწავლებაში. მონივნავე დამრიგებლები: ნინო დაუშვილი, ირმა ელიზბარაშვილი, ხათუნა ბედუჯაძე, მამუკა ზაქარაშვილი, ლია ჯავახიძე, ნესტან მაჩაიძე-არჩვაძე,

ამ, თითქოსდა, მშრალი სტატისტიკის უკან დგას პედაგოგთა, სკოლის ადმინისტრაციის, ყველა მუშაკის, მკლავმოუღლეელი, ემოციურად დამუხტული შრომა. მაღალია მათ ამისთვის!

განათლების სფეროში ბატონ ნუგზარ ყენიას იმდენი კარგი საქმე აქვს გაკეთებული, რომ მას თამამად მოვიხარებ იმ მოღვაწეთა, დიდ დირექტორთა შორის, როგორც იყვნენ და არიან სახელგანთქმული: გრიგოლ კობახიძე, ლევან ჩიქვანია, ლიანა შენირული, მიშა მინდაძე, ალექსანდრე ჯავახიშვილი, თენგიზ გულორდავა და სხვები.

გალაკტიონი ხშირად ამბობდა: „კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაუღველო!“ დიას, კიდევ ბევრი კეთილი სიტყვა დამარჩა სათქმელი „ენკაზე“, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო ვერ ვახერხებ და სხვა დროისათვის იყოს.

დასასრულს უახლოვდება სასწავლო წელი - მოსავლის აღების დროს ბარაქიან შემოდგომას გისურვებთ, ლიცეუმელებო, ხოლო სექტემბრიდან - მშვიდობიან, დალაგებულ ვითარებაში მოღვაწეობას!

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის მეცნ. დოქტორი



გამომდინარე ტარდებოდა უმაღლეს დონეზე ორგანიზებული ონლაინ გაკვეთილები.

პანდემიით გამოწვეული სირთულეების მიუხედავად სკოლა-ლიცეუმის მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა სახის ღონისძიებებში და მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევენ. ჩვენი სკოლის 11 კურსდამ-



ნამყვანი სტატუსის მქონე მასწავლებლები: ირმა ელიზბარაშვილი, მარია ქავთარაძე, ნანა ბარათელი. საგნობრივი კათედრები დიდად განაპირობებს ხარისხიან, კონკურენტუნარიან სწავლებას.

სკოლაში ფუნქციონირებს 5 ასეთი კათედრა: ქართული ენისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა - მამუკა ზაქარაშვილი; მათემა-

ბალაკტიონი მე-8 სკოლებს: „მალა! სულ მალა!“

ბაპარჯვება მათი მუდმივი მეზური



შეუძლებელია პათეტიკის გარეშე ამ სკოლაზე საუბარი. სკოლაზე, რომელიც დიდი დირექტორის, აკაკი კვიციანიძის სახელს ატარებს, პიროვნების, რომელიც მე-8 სკოლის შეუცვლელი დირექტორი იყო 35 წლის მანძილზე.

ასეთი პიროვნებისა და ხელმძღვანელის საქმის გარტყმა მარტივი არ არის, მისი გზა ღირსეულად გააგრძელა ქალბატონმა თონა მისურაძემ, რომელიც ყოველი ახალი საქმის თაოსანი და ორგანიზატორია. მისი მარჯვენა ხელია დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, მოსწავლესა და კოლექტივზე მუდამ მზრუნველი ქალბატონი როზა დაბახიშვილი. მათი ხელმძღვანელობით სკოლა ახლაც გამოირჩევა მაღალი შრომითი დისციპლინით, სიახლეთა ძიებით.

მე-8 სკოლაში წლების მანძილზე დაუღალავად იღვნიან ამავედარი პედაგოგები: ციციანო მარიაძე, იზოლდა აბაშიძე, თამარ გოგუაძე, თონა მისურაძე, მაია გოგავა, ნათელა დობრეჯინიძე, ნინო ტოკლიკიშვილი, დარეჯან ჯოჯუა, ლალი პაპოშვილი, მამუკა მალაქელიძე, ნინო სხირტლაძე, ეკატერინე ნადირაძე, ეკატერინე ბოკუჩავა, მარინა კახაძე, ლალი ლომინიძე, მერი ვარდოშვილი, მარინა გოდერძიშვილი, იზოლდა ბუქაური, ნანა ჩუთლაშვილი, მზია ხატიაშვილი, ლალი კვიციანიძე, მანანა გოგოლაძე, ელიზაბეტა გორგოძე, ლიანა კოპალიანი, დავით ბენიძე, დავით თომაძე, რუხანა კაპანაძე, მარინე კვიციანიძე, მზია ლომიძე, თამარ მისურაძე, ეკატერინე ნიკოლეიშვილი, მაია ოდიკაძე, მაია სალუქვაძე, ქეთევან მისურაძე, ნათია კორძაძე, ნატალია მოსიაშვილი, ია მოდებაძე, ცისმარ მექვაბიშვილი, მაია პატარქილაშვილი, რუსუდან სალუქვაძე, მარინე უზურგუნაშვილი, კონა ქვირია, ნინო ტაველიძე, ნათია შათირიშვილი, ნათია მგალობლიშვილი, თინათინ ახალბედაშვილი. მათი მუშაობა მაგალითია ახალი თაობისათვის, რომლებიც სწავლობენ, ბაძავენ და მათ საქმეს ღირსეულად აგრძელებენ. სწორედ ეს ახალგაზრდა პედაგოგები: თამარ გურული, მერი ყაველაშვილი, მარინე ახალაშვილი, ლიანა ხანდლოშვილი, ნათია გაბინაშვილი, მაკა გველეიანი, თინათინ სამინაშვილი, თამარ საყვარელიძე, დალი სარალიძე, ქეთევან მარიდაშვილი, გიორგი სოიტაშვილი, ოლეგ სვანიძე, ლევან მისირელი, ლევან ბანძელაძე, ახლა უკვე გამოცდილი და კვალიფიციური, ზრუნავენ მოსწავლეთა სწავლებასა და აღზრდაზე. სკოლას ჰყავს ნამყვანი მოსწავლეები: ლალი პაპოშვილი, მამუკა მალაქელიძე, ნინო სხირტლაძე, ეკატერინე ნადირაძე, ეკატერინე ბოკუჩავა.

პროექტები (ხელმძღვანელი სკოლის დირექტორი თონა მისურაძე): „დედამინის ეკოსისტემების როლი ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის“ და „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მასთან დაკავშირებული პრობლემები“. პროექტები ვათვლილია როგორც მოსწავლეებისა და მოსწავლეების აქტიურობაზე, ასევე მშობლების ჩართულობაზეც. თითოეული აქტივობის მიზანია, მოსწავლეებში განავითაროს მრავალმხრივი უნარები, აღზარდოს მოაზროვნე, ობიექტური თვითშეფასებისა და

ადამიანში ადამიანური და რამდენი მხეცური. ომის უმკაცრესი გამოცდა თქვენ ჩინებულად ჩააბარეთ, ბატონო აკაკი! ომის ჯოჯოხეთურ ყოფაშიც ადამიანად დარჩით და ამ ადამიანობამ დაამარცხა მტერი, გაიმარჯვა სიკეთემ, რწმენამ, სიყვარულმა... და ბოლოს, 9 მაისს გილოცავთ, დღეს, რომელსაც თქვენი ხელმეორედ დაბადების დღედ თვლიდით!

დარეჯან ჯოჯუა, დაწყებითი კლასების მასწავლებელი


პროექტებით სწავლა-სწავლებლის მეთოდიკაში თავის მდიდარ გამოცდილებას გვიზიარებს და ცალკე გამოქვეყნებას იმსახურებს ლალი პაპოშვილი, დაწყებითი კლასების ნამყვანი მასწავლებელი.



და გამოცდილებას, ხდება უფრო აქტიურები და იჩენენ სამოქალაქო ინიციატივებს, რომლებიც მომავალში წარმატების მიღწევაში დაეხმარებათ. კლუბის შემადგენლობა დროდადრო იცვლება, მაგრამ მუშაობის ძირითადი მიმართულება უცვლელი რჩება. კლუბის გამგეობა ირჩევა ერთი წლის სასწავლო წლის დასაწყისში. გამგეობის წევრებიდან ხდება კლუბის ლიდერს არჩევა, რომელიც პასუხისმგებელია კლუბის ფუნქციონირებაზე, თანამშრომლობს კლუბის კოორდინატორთან და წევრებთან. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული საკლუბო აქტივობების დაგეგმვაში და შესრულებაში, ისინი ერთობლივად ქმნიან მუშაობის გრძელვადიან გეგმას, ითვალისწინებენ კლუბის ყველა წევრის მოსაზრებას. კლუბის მიმართულება ძირითადად საქველმოქმედო და აქტივობებზეც ამ მიმართულებით ხორციელდება.



დირექტორს მხარს უმხრევენ ასევე დიდი პედაგოგი, სკოლის მემბრანა როზა დაბახიშვილი. პირველ რიგში, ის გახლავთ ქართულის ბრწყინვალე მასწავლებელი. 154-ე სკოლაში დაიწყო მასწავლებლობა. მალე შეამჩნიეს მისი ნიჭი, დააფასეს, დაანინაურეს, მე-8 სკოლაში დირექტორის მოადგილედ გადამიყვანეს და მას შემდეგ აქედან „არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი“. დაიხს, უამბიციოდ 42 წელია მუშა ფუნქციონირით იღვნის აქ. 42 წელი?! დიახ, 42 სასწავლო წელი! ეს ხომ ერთ სკოლაში ნაყოფიერი მუშაობის სარეკორდო მაჩვენებელია? და ეს რეკორდი სხვას ვის ელირსა? დამისახებლეთ სხვა. ამიტომ გავეხუმრე როზას „გინესის“ წიგნში ხარ შესაყვანი-მეთქი.



სკოლას ბრწყინვალე პედაგოგ-ჟურნალისტები ჰყავს. ჰოდა, მათ მეთვალ შრომატევადი, პროფესიონალიზმით აღბეჭდილი მასალა მოგვანოდეს.

თავიდანვე უნდა ვთქვა: იმდენად მდიდარი, უხვი და ყოვლისმომცველია ეს მასალა, ჩვენი გაზეთი მეუ-მოკლებლად ვერ შეძლებს მის გამოქვეყნებას. გასაგებია ავტორთა ენთუზიაზმი, გაისად მე-8 სკოლა 110 წლისა გახდება. ჰოდა, სწორედ იუბილისათვის შედგამოჭრილია მხატვრული ნარკვევის სტილში შესრულებული ეს მასალა. ამდენად, ფრაგმენტულად წარმოვიდგინო ზოგიერთი ავტორის ნაშრომს. ამიტომ გული ნუ დაგწყდებათ, კოლეგებო!



პასუხისმგებლობის, დამოუკიდებელი უნარ-ჩვევებისა და მაღალი სამოქალაქო ღირებულებების მქონე პიროვნებები.

მაია გოგავა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

მოძღვარი

ქართველებს ერთი ძირძველი სიტყვა მოგვეძებება-„მოძღვარი“. ჩვენი წინაპრები, მოძღვარს ეძახდნენ არა მხოლოდ სასულიერო პირს, არამედ თავიანთი ბავშვების ყოველ მასწავლებელს და ჭკუის დამრიგებელს. ბრძანება დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი.

ბატონი აკაკი კვიციანიძე სწორედ ის მოძღვართმოდვარი ბრძანდებოდა, რომელიც ცოდნის, სიკეთისა და სიყვარულის ლამაზად ენთო ჩვენი სკოლის კედლებში აღზრდილი თითოეული ბავშვის და თითოეული თანამშრომლის სულში.

ის, იმ ადამიანების რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელთა გაცნობა შემდეგ სულიერად მაღლები, გინდა იმეგობრო, ხელახალი შეხვედრით გაიხარო, მასთან საუბრით სული დაიმშვიდო.

გზავნილი მოაპალა

ეს ღონისძიება აშუქებს გოდერძი ჩოხელის შემოქმედებასთან შეხვედრას და მოსწავლეებს აგრძობინებს მწერლის მხატვრული სიტყვის ხიბლს.

„მე ვარ გოდერძი ჩოხელი ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანი. დავიბადე საქართველოს მთაში-გუდამაყრის ხეობაში. ჩემს სოფელს ჩოხი ჰქვია, ჩემს სალოცავს ჩოხის წმინდა გიორგი. გუდამაყრის ხეობაში შავი არაგვი მოდის, ჩემს სულშიც მოდის ხშირად შავი არაგვი, ოღონდ არა ბოროტად, კეთილად მოედინება.“

ვარ კინორეჟისორი, მწერალი, მიყვარს ჩემი სამშობლო.“

სტუმრად მოვიწვიეთ: **გ. ჩოხელის** მეუღლე **ნინო მელაშვილი**, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი **თამარ სხირტლაძე**, ლიტერატურის კრიტიკოსი და პუბლიცისტი **თემურ ქორიძე**, ახმეტელის თეატრში **გ. ჩოხელის** მოთხრობების მიხედვით განხორციელებული სპექტაკლის სცენარის ავტორი **საბა მეტრეველი**. სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი **მადლენა ოჩიგავა**, პუბლიცისტი **ნინო ზედლაშვილი**.


ეს იყო ულამაზესი ლიტერატურული საღამო, **სულის ზეიმი**.

გზავნილი მოაპალა

თამარ გოგაჯიშვილი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

თანამშრომლობა

ეს არის ვრცელი მასალა, რომელიც გვაძლევს მოსწავლეთა შემეცნებით-შემოქმედებით ღონისძიებებში ჩართულობა აქტივობების სრულ სურათს. აქ წერილის ავტორი **ლიანა ხანდლოშვილი** გვთავაზობს ამ კუთხით ჩატარებული და ჩასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალს. ეს წერილი ცალკე დაბეჭდვას იმსახურებს.



მისი მიზანია მოსწავლეებში აქტიური მოქალაქის თვისებების ჩამოყალიბება. კლუბის წევრების ინიციატივით და სკოლის ადმინისტრაციის ხელშეწყობით „ქომაგის“ წევრებმა მოინახულეს და საჩუქრები გადასცეს ძველის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „კარიტასის“ მიერ დაარსებულ მიუსაფარ ბავშვთა პანსიონატს, ეწვივნენ მოხუცთა პანსიონატს „სიკეთის ლამაზი“, სოფელ გორგინწინდამი მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახს, მონაწილეობა მიიღეს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული ცენტრის მიერ დაგეგმილ და ბერი ანდრეას ფონდის მიერ გამოცხადებულ პროექტებში „ერთად ვაკეთოთ სიკეთე“.

სამოქალაქო განათლების კლუბი „ქომაგი“, თავისი საქმიანობით ხელს უწყობს საზოგადოების მონაწილეობის დონის ამაღლებას თემში და უფითარებს მოსწავლეებს ისეთ ცოდნას და უნარ-ჩვევებს, რომლებიც მომავალში წარმატების მიღწევაში დაეხმარებათ.

ტრადიცია ბრძალდება

დღიერი პედაგოგები მუშაობენ აკაკი კვიციანის სახელობის თბილისის მე-8 საჯარო სკოლაში, რომელსაც მომავალ წელს დაარსებიდან 110 წელი შეუსრულდება. სკოლა ქალაქში ბილანიშვილების სკოლის მემკვიდრეა. იგი სხვადასხვა დროს იწოდებოდა დაწყებითი სკოლა, გიმნაზიად, 32-ე შრომის, 45-ე ქალთა, ნიკო ლორთქიფანიძის

დაიწყო რეგულაციების დაცვით და ჰიბრიდული ფორმატით მიმდინარეობდა. წლის განმავლობაში აქტიურად იკრიბება სხვადასხვა საგნის კათედრა: ქართული ენა და ლიტ. (ნ. ტოკლიკიშვილი), საზოგადოებრივი მეცნიერება (ლ. ხანდლოშვილი), უცხო ენების (რ. კაპანაძე), ზუსტი და საბუნებისმეტყველო (ნ. ტაველიძე), სპორტისა და ესთეტიკის (დ. სარალიძე), დაწყებითი კლასები (თ. ახალბედაშვილი). ისინი ურთიერთთანამშრომლობით მსჯელობენ, გეგმავენ მომავალ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებასა და იდეებს. კლასის ხელმძღვანელები წლის დასაწყისში ადგენენ კლასთან მუშაობის პროგრამას. მათი ორგანიზებით იგეგმება და ხორციელდება გასვლითი გაკვეთილები ხალხურ საკრავთა და შოკოლადის მუზეუმებში, ხელოვნების სახსლეში, ბოტანიკურ ბაღში, ძველ თბილისში... სკოლა ჩართულია ახალი სკოლის მოდელში, განხორციელდა სასკოლო



... და სწორედ, ახლა მინდა თქვენთან საუბარი და „სულის დამშვიდება“ ბატონო აკაკი! მინდა გითხრათ, როგორი წარმატებულია თქვენი სათაყვანებელი მე-8 საჯარო სკოლა, რომელსაც მთელი ცხოვრება, ძალა და ენერჯია შეაღიეთ, როგორ ღირსეულად ატარებს თქვენს სახელს, როგორ ახსოვხართ და უყვარხართ ყველას, როგორ ხელმძღვანელობენ დღესაც თქვენი პრინციპებით, როგორ გბაძავენ შრომისმოყვარეობასა და ჯიუტ ერთგულებაში და როგორ აგრძელებს თქვენს ტრადიციებს, თქვენსავით მუდამ სკოლაზე ზრუნვასა და ფუსფუსში, ქალბატონი **თონა მისურაძე!**

„ომმა დედამინას იმდენი სიცოცხლე მოაკლო, ასე მგონია, გამჩაბდაო“ - ამბობდა ერთი გამოჩენილი ქართველი მწერალი. მართალია, ომმა უსაშველო უბედურება დაატარა, მაგრამ ეს იყო თავისებური გამოცდაც, რამდენია

თანამშრომლობა

მერი პარდოშვილი, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი-კლუბის კურატორი

იძულებული ვართ, აქ დავსვით წერტილი. წარმოდგენილ ფრაგმენტებშიც ნათლად ჩანს, თუ როგორი აქტიური სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი ჩქეფს აკაკი კვიციანისა და თონა მისურაძის სკოლაში. თქვენი ღვაწლია, ძვირფასო კოლეგებო, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ: „ვერ ერჩის, ვერა ამ სკოლას ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი, ვერც ომი, ვერც სხვა პრობლემა, ვერც პანდემია - აფთარი“.

მჯერა, სასწავლო წელს „ბარაქიანი შემოდგომით“ დაასრულებთ. გისურვებთ, ახალი სასწავლო წლის უსაფრთხო, მშვიდობიან ვითარებაში დაწყებას, რომ უფრო ლაღად გაშალოთ თქვენი შემოქმედებითი ფრთები და ღირსეულად შეხვედეთ მე-8 სკოლის 110-ე წლის სახელოვან იუბილეს!

ერთად ვაკეთოთ სიკეთე

პროფესორი მადლენა ოჩიგავა, სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი „ქომაგი“, რომლის მიმართულება საქველმოქმედო საქმიანობაა. კლუბში მოსწავლეები მოტივაციის და ინტერესების მიხედვით ერთიანდებიან, იძენენ ცოდნას



პროფ. მადლენა ოჩიგავა, პედაგოგიკის დოქტორი

ღვანელი, როგორც მაღალი ქულაებით ფასდება



მოარული ხმები, თითქოსდა გარეუბნის სკოლები რითიმე ჩამოუვარდებოდეს დედაქალაქის ცენტრის პრესტიჟულთ, ნისლივით განქარდება, როს გაეცნობით მეექვსე სკოლელთა ცხოვრებას. რატომღაც ილიას სიტყვები გამახსენდა: „ვერ ერჩის თურმე მის მწვანეს ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი“. ასეა: ბევრი ვერაფერი დააკლო ამ სკოლას ვერც პანდემიამ, ვერც მკაცრმა ზამთარმა, ვერც ომმა. რატომ მოხდა ასე? იმიტომ, რომ პედკოლექტივში შრომის სიყვარულია, პროფესიონალი კადრების სიუხვება. შრომისმოყვარე ადმინისტრაცია იღვწის ენერგიული, შემოქმედებითი დირექტორის **თამარ აბაზაძის**, ასევე გამოცდილი მოადგილის **ქეთევან ჯალაბაძის** წინამძღოლობით.

გაგონილს თვალით დანახული სჯობსო, - ნათქვამია. ჰოდა, მეც დავაპირე კონკრეტულ ფაქტებსა და მოვლენებზე ე. ი. სასწავლო პროცესზე ამეგო მსჯელობა. ამ დროს ისეთი ჟურნალისტურად ჩამოყალიბებული კომპეტენტური მასალა გამომიგზავნეს სკოლიდან, კომენტარებს, ამ ინფორმაციის უცვლელად წარმოდგენა ვამჯობინე.



გაკეთებული საქმეები და ახალი პერსპექტივები

„მეორე სემესტრი ქვეყანაში შექმნილი პირობებიდან გამომდინარე რეგულაციების დაცვით დავიწყეთ. სასწავლო პროცესი კარგად მიმდინარეობდა. პედკოლექტივი და მოსწავლეები მაინც ახერხებდნენ დაგეგმილი აქტივობების განხორციელებას.“

სკოლაში ახლად ფეხშემოდგომულმა აღსაზრდელებმა დაამზადეს ხელნაკეთი ანბანი, გასვლითი ღონისძიება ჰქონდათ დედაენის ბაღში დედაენის დღესთან დაკავშირებით.

II (ა,ბ,გ,დ) კლასმა იმუშავა ქართულ ანბანზე: პირველ ეტაპზე მათ იხილეს ანიმაციური ფილმი ანბანის შექმნის შესახებ. შეისწავლეს ანბანი სახელწოდებებით - მაგ. **ანი, ბანი** და ა. შ. ასევე, გაეცნენ იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფიას. მოამზადეს ინტერვიუ ალნიშნულ მწერალთან.

გაკეთეს ხელნაწერი წიგნი ნუსხური ანბანის მიხედვით.

მეორე კლასში გვექონდა გმირების გამოძერწვის დღეც.

მესამე კლასელები გაეცნენ იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფიას, შემდეგ კი გამართეს

ექსკურსია ი. გოგებაშვილის მუზეუმში. აპრილში მოაწყვეს კალიგრაფიის კონკურსი - დაძველებული ხელნაწერის ფორმატში.

მეოთხე კლასეებში ხელნაკეთი წიგნი შეიქმნა სხვადასხვა ტაძრების შესახებ, ასევე მოეწყო სლაიდშოუების ჩვენება PowerPoint ფორმატში.

მეხუთე კლასელებმა კი უფლისციხისა და ქაშეთის მაკეტები და ფერადი ილუსტრაციები შექმნეს; შეადგინეს კროსვორდები.

მეექვსე კლასელებმა დაამზადეს ბუკლეტები, რომლებიც არის ასომთავრულითა

ასახული. მოიძიეს ინფორმაცია, დახატეს და წარმოადგინეს ქართული ტრადიციული სამოსი, მოსწავლეებმა კომპლექსური დავალების ფარგლებში მოამზადეს ქართული უძველესი საცხოვრებლის მაკეტები, გაეცნენ ინფორმაციასა და შეძლეს გაეცნობიერებინათ, საცხოვრებლის ტიპის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა.

ორი წელია აქტიურად ვთანამშრომლობთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის Fablab GTU ჯგუფთან, სასკოლო პროექტის „კულტურული მემკვიდრეობის დაც-



ღვრული, მოსწავლეზე ორიენტირებული სასკოლო გეგმები, რომლის განხორციელებისთვის ყველაფერს ვიღონებთ.

ლია სვანაძე,

ხელოვნების მასწავლებელი

მკითხველი ადვილად მიხვდება ამ, თითქოსდა მშრალი ჩამონათვალის უკან პედკოლექტივის რა ემოციური, ოფლ-გამომდინარე შრომა, ზრუნვა დგას. ეს კი ასეთ გაუკულმართებულ პირობებში გმირობის ტოლფასი მოღვაწეობაა. აქ ჩანს დაძაბული მუშაობა კარიერულ ზრდაზე, ახალგაზრდობის დაოსტატება-დანინაურებაზე, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გააქტიურებაზე, მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ამაღლებაზე. იგრძნობა, როგორ აქვთ ოსტატებს შეგირდთა მიმართ გათავისებულ ილ-



და მხედრულით დანერილი. ბუკლეტები შეეხება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე (ეკლესიებზე) მოკლე ინფორმაციებს.

ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში ხორციელდება პროექტი „კულტურული მემკვიდრეობა“, რომლის ფარგლებშიც სკოლის მე-2 კლასის მოსწავლეებმა, დამრიგებელ **ლელა თორაძის** ხელმძღვანელობით განახორციელეს ვიზიტი კახეთში, სოფელ ახმეტაში და საკუთარი ხელით დარგეს გადაშენების პირას მყოფი ვაზის ფიჭები.

ასევე მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები სასკოლო და არასასკოლო ოლიმპიადებში.

მე-5-8 კლასის მოსწავლეები ესტუმრნენ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, გაეცნენ ქართულ ტრადიციულ სამოსს და ორნამენტის სახეობებს.

შეძლეს კულტურის მრავალფეროვნების დაფასება; გამოავლინეს პასუხისმგებლობა; დამოუკიდებლად სწავლის, მოსმენისა და დაკვირვების, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარები.

ასევე გაეცნენ ქართული ტაძრის, ხალიჩების, ჭურჭლის ორნამენტების სახეობებს, რომლებიც ქართულ სამოსშია

ვის მნიშვნელობა და აუცილებლობა“ ფარგლებში სისტემატიურად მიმდინარეობს შეხვედრები და მოსწავლეთა თანამშრომლობით მზადდება სკოლის სარეკლამო ბანერი.



აქ წარმოდგენილი პროექტებისა თუ ღონისძიებების განხორციელებას ხელს უწყობს სკოლაში დასაქმებული წარმატებული და კრეატიული პედკოლექტივი, ასევე მინდა აღვნიშნო, რომ მათი ჩამონათვალი არასრულია.

2021-22 სასწავლო წლის ბოლოს სკოლას ეყოლება 2 ოქროს და 1 ვერცხლის მედალოსანი მოსწავლე. ეს გაკეთებული საქმეების მხოლოდ ნაწილია. სკოლას აქვს მკაცრად განსაზ-

ის შეგონება: „ჩვენ, ძველებმა ახლა კალამი ძირს უნდა დავდოთ და გზა ვაჟას უნდა დავუთმოთ“.

ახლოს არის სასწავლო წლის დასასრული, ე. ი. შეფასების, შეჯამების, „მოსავლის აღების“ დრო. ბარაქიან სასწავლო შემოდგომას და ახალ წარმატებებს გისურვებთ, მე-6 სკოლელეებო!

ბორის მიჰველაძე,
დამსახურებული პედაგოგი.

სამოთხესავით ლამაზი ბარემო



დიდი დიღმის მე-3 მ/რ-ში, 30 წელია პატარებს ცხოვრებას ულამაზებს თბილისის 213-ე ბაგა-ბაღი (დირექტორი ნინო ლომინიშვილი). ქალბატონი ნინო და თითქმის მთელი კოლექტივი აქ ბაღის გახსნის დღიდან მუშაობს. ბევრი სასიამოვნო მოგონება და ბევრი რთული პერიოდიც გამოუვლიათ ერთად. ბოლოს კი კვიდ პანდემიის მძიმე დღეებზე ერთად გადაიტანეს. წლების მანძილზე ნინო ლომინიშვილი სხვადასხვა პოზიციაზე იყო – ფსიქოლოგი, შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი, 2016 წლიდან კი საბავშვო ბაღის დირექტორია. ბაღში 325 ბავშვი და 9 საა-

ბამ წერტილოვანი დაკეტვების შესახებ მიიღო გადანყვებილება. მხოლოდ იმ ჯგუფში, სადაც აღმოჩნდებოდა კოვიდი, 8 დღიანი იზოლაცია დადგინდა, რომელიც მდგომარეობის გამოსწორებასთან ერთად, 5 დღემდე შემცირდა. საბედნიეროდ, ეპიდემია მიწელდა, აქტიურობა და შემართებაც გაიზარდა.

ბაგა-ბაღში ჯგუფები აღჭურვილია თანამედროვე ცენტრებით, განახლებულია ავეჯი, ჩატარებულია შიდა რემონტი. ბაღს აქვს ლამაზად შემოღობილი, საუცხოო დიდი ეზო, რომელსაც იქაურები „სამოთხის კარს“ უწოდებენ. წლების მანძილზე რუდუნებით გაზრდილი ულამაზესი ხე-

თურქაძე და ციცი რაზმაძე; სპეც. პედაგოგები – ნათია გორდეზიანი და ნინო ჯავახიშვილი. ყოველდღიური აქტივობების დაგეგმვასა და კოორდინაციაში აქტიურად არის ჩართული დირექტორის მოადგილე ნარგიზ წილოსანი.

თამაშით სწავლების მეთოდის საშუალებით, შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის პროგრამებს წარმატებით ახორციელებენ აღმზრდელები: ნინო ღონდაძე, ნელი დოღანაძე, ლამზირა კობალაძე, მაგული



თამარ ნაკაშიძე, მზია ზანგური, ციცო დვალი, დოდო ტაბატაძე, ასმათ ქობულაშვილი, მარინა კარაგეზიანი, ციცი ნიკლაური – შრომა.

ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელს კახაბერ გვანცელაძეს და მის გუნდს, დიდი გულისხმიერებისთვის. არ მახსოვს, რაიმე მეთხოვოს



ღმზრდელო ჯგუფია: 3 – ბაგის, 6 – ბაღის. აქედან 2 მზაობისაა. პანდემიამ მთლიანად შეცვალა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ცხოვრება. ეს ერთადერთი რგოლია, სადაც დისტანციურად ვერც დასავლეთ ხდებოდა და ვერც მუშაობდა. კოვიდის დადასტურების შემთხვევაში მთლიანად იკეტებოდა ბაღი. ამის გამო, მშობელთა გარკვეული უკმაყოფილება იყო – არ სურდათ ბავშვები სახლში გამოკეტილები ყოფილიყვნენ, განსაკუთრებულად უჭირდათ მათ, ვინც მუშაობდა. ამიტომ, სააგენტოს თხოვნით, მთავრო-

მცენარეები, ნაძვები, აკაციები, ასაკისთვის შესაბამისი ყველა-ნაირი საბავშვო ატრაქციონი, ფანჩატურები, საჩრდილობლები... და აქ ყველა ბავშვი თავს კომფორტულად გრძობს.

გრძელვადიანი მიზნების დასახვასა და ამ მიზნების მიღწევის სტრატეგიის განსაზღვრაზე მუშაობს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი ცირა მუსელიანი და მულტიდისციპლინარული ჯგუფი, რომელიც შედგება გამოცდილი სპეციალისტებისაგან: ფსიქოლოგები – თამარ არჩემაშვილი და მარიკა ტატიშვილი; ლოგოპედები – მია

კორსავა, ნანა ჭანტურიძე, ნაირა ზარნაძე, ცისანა ნარიშანიძე, რუსუდან აბულაძე, ნუნუ ბეალიშვილი, ლიზი ბაზერაშვილი.

დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს აღმზრდელის თანაშემწეები: ნატალია შენგელია, თამარ გაბისიანი, მზია კობალაძე, თამარ როგავა, ჟანა ცირდავა, ანა კაციაშვილი, ლიდა შეთეკაური, ბელა ჭუნაშვილი, ნატა ლომჯვარია, ლია ობოლაშვილი, ივლიტა ტყეშელაშვილი;

რაც შეეხება კვებას. ძალიან კალორიული, ნორმალური კვებაა, გაზაფხულის და ზაფხულის მენიუებით, რომელსაც სპეციალურად ად-

ყველა ასაკობრივ ჯგუფში ტარდება მუსიკისა და ცეკვის აქტივობები, სადაც ყოველთვის ღიმილი და სიხარულია, რაც მუსიკისა და ცეკვის პედაგო-

და უყურადღებოდ დავეტოვებინეთ. ცოტა დაზიანებულია შენობის ფასადი და იმედი მაქვს, ამასაც მალე გავვიღამებენ. პროფკავშირების დახ-



გენს დიეტოლოგი. ყველაგან სისუფთავე და დაცული რეგულაციებია. ბაგა-ბაღს ხშირად ამოწმებენ შრომის ინსპექციისა და სურსათის უვნებლობის სააგენტოს წარმომადგენლები. მართალია, კორონა-ვირუსმა უკან დაიხია, მაგრამ ჯერ კიდევ არდასრულებული პანდემიის პირობებში, განსაკუთრებით დასაფასებელია სანიტარულ-ჰიგიენური უზრუნველყოფის, ჯანდაცვის, კვებისა და სამეურნეო კოორდინატორების – თინათინ ნაკაშიძის, თამარ ალუდაურის, მადონა მეგრელიშვილის, თამარ ბერიძის და ტექნიკური პერსონალის: მაკა ლორია, ელენე ალთუნაშვილი, ელისო ტალახაძე,

გების — მანანა ჩაგელიშვილისა და სუბიშვილების ყოფილი მოცეკვავის ზვიად დადიანიძის დამსახურებაა.

წლის მეორე ნახევარში ბაგა-ბაღში ჩატარდა შიდა აქტივობები: ძალიან კარგი სპექტაკლით „სტუმრად თოჯინების თეატრი“. ბავშვებმა გაიცვენეს მსახიობები, ყველა თოჯინასთან ჰქონდათ კონტაქტი, გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები და ძალიან ლამაზი დღე გამოვიდა; იყო შეხვედრა კომპოზიტორთან, მხატვართან; დედამიწის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება. დაგეგმილია შეხვედრა კომპოზიტორ ვაჟა ღურგლიშვილთან.

როგორც ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მიმართ განსაკუთრებული მიდგომა მთავრობის მხრიდან – „მადლობა მინდა ვუთხრა

მარებით, უფასო ტრენინგები ტარდება ფსიქოლოგებისთვის, ლოგოპედებისთვის, აღმზრდელებისთვის; ასევე, ყურადღებას არ გვაკლებს გამგეობა და ჩვენი დეპუტატი ავთო ცინცაძე.“

ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით, აღსაზრდელები მიწვევები არიან ბომბორაზე. ასევე, 1 ივნისს საბურთალოს რაიონის გამგეობა ატარებს კონცერტს, რომელშიც ამ ბაღის პატარებიც მიიღებენ მონაწილეობას. 2 წელია, სასწავლო წლის დამამთავრებელ აქტივობებს მონატრებულები, განსაკუთრებულად ემზადებიან ღონისძიებისთვის „დამშვიდობება ბაღთან“, სადაც დაარჩებენ სამახსოვრო დიპლომებს და გოგო-ბიჭებს სკოლისაკენ გზას დაულოცავენ.

ნათია გუგუნავა



ბავშრი სიასლე და ლამაზი ბარემო



მას შემდეგ, რაც კორონავირუსის ეპიდემია გლობალურ პანდემიად გამოცხადდა, ჩვენს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. პასიური პროცესი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. როგორც კი სამუშაოების წარმოების მიმართულებით, შეზღუდვები მოიხსნა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, რეგულაციების დაცვით განახლდა სასწავლო პროცესი და პატარები დაბრუნდნენ მონატრებული ბაღის კედლებში.

სკოლამდელი განათლების სისტემაში ბავშვის განვითარებისათვის საჭირო გარემოს შექმნა, მისი პიროვნებად ჩამოყალიბების საფუძველია. **თბილისის მე-40 ბაგა-ბაღში** (დირექტორი **ნატო მახარაძე-ჯალალანია**) მონესრიგებული გარემო და ის სივრცეა, სადაც ბავშვებს მიუხარიათ. ახალი

ხედვებისა და გამოწვევების დანერგვა სტანდარტების შესაბამისად მიმდინარეობს; ჩართულები არიან სხვადასხვა სააღმზრდელო პროექტში, რაშიც საკუთარი წვლილი შეაქვს სააღმზრდელო დაწესებულების მთელ კოლექტივს. განახლებულ სასწავლო წელს ბევრი სიახლით შეხვდნენ. თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელშეწყობით გარემონტდა ჯგუფები, ეზოში მოეწყო სათამაშო სივრცეები.

პლინარული გუნდი - ფსიქოლოგი, ლოგოპედი, სპეც. პედაგოგები. ეს გუნდი ახდენს ბავშვთა ინდივიდუალურ ჩართვას პროცესში და მონაწილეობენ სასკოლო მზაობის აღსაზრდელების უნარების შეფასებაში. თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტია საქმის მწარმოებელი **მარინე ფხალაძე**.
ბაგა-ბაღში **6** ჯგუფია, აქედან **2 - მზაობის**. წელს **73** აღსაზრდელი შეაბიჯებს სკოლის კედლებში. სკოლაში წამსვლელი



ნლ.); **თამრიკო ბოკერია, ნინა ზულიაშვილი, ქეთევან რევაზიშვილი**

აღზრდის დაწესებულებებისთვის, რაციონის კვებითი ღირებულების ნორმები დამტკიცდა. მრავალფეროვანი და ჯანსაღი პროდუქტით მომზადებული უგემური კერძებით მასპინძლობენ პატარებს ბაგა-ბაღის მზარეულები: **მზია გეჯაძე, ხათუნა ომანაშვილი, ირმა დალაქიშვილი და ნათელა ჯალალანია**, რომელიც 55 წელია უამრავ თაობას დაუღალავად ემსახურება.

ქალბატონი **ნატო მახარაძის** ძალისხმევითა და შრომის შედეგად, აქ პატარებისთვის უსაფრთხო და მიმზიდველი გარემოა შექმნილი, მუდმივად ხდება პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის ხელშეწყობა, მაღალია მუშაობის შინაარსობრივი მხარე.

ნათია გურგენიძე



ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის წარმართვაში, აქტიურად მონაწილეობენ დირექტორის მოადგილე **ნინო გაბათაშვილი**, მეთოდისტი **ეკა ბეგიაშვილი** და **მულტიმედია**



აღსაზრდელების მაქსიმალურ წინასასკოლო მომზადებასა და სააღმზრდელო პროცესის წარმატებით უძღვებიან: **მაია შათირიშვილი, ეკა ფირცხალავა, კატო ცხადიაშვილი, მარინე გეჯაძე, თეა კარტოზია, მაია ჩიტია, ლია ფირანიშვილი, ირინა დალინკვირი**.



ბავშვზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროცესს, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, წარმართავს კვალიფიციური პერსონალი: **ნათია რომელაშვილი, გიული ქვლივიძე, მაია ლუჯავა** (ბაგის ჯგუფი); **ელიზა უგრეხელიძე, ქეთევან ბაზაძე, მზია მაისურაძე** (3-4 წლიანები); **ხათუნა გელიაშვილი, ლალი გაბაძე, ნანი კაჭარავა, თამრიკო ტონია** (3-4



წლები).
სულ რამდენიმე დღის წინ, ბაგა-ბაღში მიიღეს უკრაინიდან ლტოლვილი ორი აღსაზრდელი. როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ადრეული და სკოლამდელი



კოჯრის ბაღი

სწორად წარმართული სამუშაო ბაბა



მიუხედავად პანდემიით გამოწვეული სირთულეებისა, აპრილში მერიისა და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დახმარებით, გადაიხურა შენობის შესასვლელი და პანდუსი; შეიცვალა ცენტრალური კარი და ორ ჯგუფში ჩატარდა კოსმეტიკური სამუშაოები; სასწავლო წლის პირველ ნახევარში კი გარემონტდა სამზარეულო და საწყობი ფართები.

ბაგა-ბაღში **4** სააღმზრდელო ჯგუფია. ოთხივე აღჭურვილია სათანადო სააღმზრდელო ატრიბუტიკითა და სხვადასხვა აქტივობების ჩატარებისთვის საჭირო მასალით, სახელმძღვანელოებით, თვალსაჩინოებებით, პლაკატებით. ღონისძიებებისა და სპორტული აქტივობებისთვის აქვთ საზეიმო და სპორტული დარბაზები, კარგ ამინდში პატარები სხვადასხვა აქტივობებით ერთობიან და დიდ დროს ატარებენ ლამაზსა და სუფთა ეზოში.

საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორის **ხ. მამაცაშვილის** ხელმძღვანელობით, აღმზრდელები სწორად წარმართავენ სამუშაო გეგმას სასკოლო მზაობისა და სხვა ჯგუფებში. პატარების აღზრდასა და მათი ინტერესების სფეროს გაფართოებაში, გამოცდელ, ღვაწლმოსილ აღმზრდელებს **ლ. ქრიკიშვილსა და თ. გოგოლიძეს**

შოთაძეს. საგანმანათლებლო პროგრამების პროცესს კოორდინაციას უწევენ და მაქსიმალური შედეგის მისაღწევად, აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან - ლოგოპედი **ნ. უმუდუმოვა**, ფსიქოლოგი **მ. ნარიშანიძე**, სპეც. პედაგოგი **ნ. აკოფაშვილი**.

ამ საბავშვო დაწესებულებაში დიდი ყურადღება ექცევა აღსაზრდელების შემოქმედებითი უნარების განვითარებას, რაც მუსიკის პედაგოგების: **ჰ. თომბულოვასა და ლ. მოსიაშვილის** დამსახურებაა.



ბაღის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის აქ მომუშავე თითოეულ თანამშრომელს. მაქსიმალურად დაცულია სისუფთავე, სანიტარული წესები და რეგულაციები, რაც **ს. აბულაძის** და **მ. ბუკოშვილის**, ჯანდაცვის კოორდინატორის **ნ. დანელიას** დამსახურებაა. ჰიგიენის ნორმების გარდა, უდიდესი ყურადღება ექცევა კვებას. კალორიული და ცვითი დამზადებული გემრიელი კერძებით უმასპინძლებიან ბავშვებს მზარეული **ი. დათუნაშვილი** და მისი დამხმარე **ქ. მჭედლიშვილი**. თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტები არიან: სამ. ნან. კოორდინატორი **თ. კვირიკაძე** და საქმის მწარმოებელი **ნ. გამდლიშვილი**.

ნათია გურგენიძე



კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გამო, სასწავლო წლის პირველი ნახევარი საკმაოდ პასიური იყო. მდგომარეობის გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო სააღმზრდელო პროცესის გააქტიურებას.



აქტიურად უდგანან მხარში ახალგაზრდა სპეციალისტები: **ლ. ნიაზაშვილი, ნ. თევზაძე, ი. ჩახუნიაშვილი, ნ. ლალიაშვილი**; სითბოსა და აღერს არ აკლებენ აღსაზრდელებს აღმზრდელის თანამშემოები: **მ. გიგაური, თ. რიბაკონინი, თ. ავაქიშვილი, ნ. ბარამაშვილი**.



ყოველდღიური აქტივობების წარმართვაში თავისი წვლილი შეაქვს დირექტორის **მოადგილე ქ.**



წელს სასკოლო მზა-

ლიტერატურული გვერდი - ერთი ლექსის გაეკვება



ირმა ალშანი (იბერელი)

თბილისს

მინდა, შემეძლოს ყოველ განთიადს, როცა მზე ცაზე ნაზად ილიმის, დავტყუებ ზღაპრული პეიზაჟებით, შემოვიარო ფეხით თბილისი.

ვუცქირო ქალაქს, სიცოცხლით სავსეს, შესაღებოდნენ თბილად ვერხვები, დავსეირნობდე მტკვრის სანაპიროს და ნავეუკითხო რიყეს ლექსები.

მესმოდეს ლოცვა სამების ტაძრის, ზარების რეკვა მამადავითის, ჩავეკრა გულში ქაშუეთს, სიონს... მეფერებოდეს ნისლი მთაწმინდის.

ძველი თბილისის ქუჩების ხილვით გამაღიმილოს განცდამ რამდენმა, შევავლო თვალი აბანოთუბანს, გამინაპიროს ფიქრით შარდენმა.

შეგყურო ზეცას ნარიყალადან... მე ანჩისხატის მწვავს ანგელოსი... მეტეხის ტაძრის გალობის ხმაში ვტიროდე ლოცვით საქართველოსთვის...

მინდა, შემეძლოს ყოველ განთიადს, როცა მზე ცაზე ნაზად ილიმის, დავტყუებ ზღაპრული პეიზაჟებით, შემოვიარო ფეხით თბილისი



თამუნა ანდრიასი

თვალები ვერ დამალოკენ

მიღიხარ, უკან მოგყვები კვლავ შენი სიყვარულის აჩრდილი ვარ. თუკი ოდესმე გამიღებ კარს დრო ვერ ჩააქრობს ამ ცეცხლის ალს.

წვიმის წვეთები მისველებს თვალს, როცა შენს გვერდით მე ვხედავ მას. უშენოდ ყოფნა ჯოჯოხეთს ჰგავს, და ეს ფიქრები მინწავს თმას.

მე მდიდარი ვარ, როგორც არავინ, მე ღარიბი ვარ, როგორც იესო. ბედნიერი ვარ როგორც არასდროს, შენმა თვალებმა გადამრიესო.



რამაზ ჩხიკვაია

ჩუქურთმა

ნარწერა ტაძრის ჩუქურთმებს ჯერაც გარკვევით ატყვია, ჯვარი ლომი და ბორჯღალი ქართული ბაირახტია.

სად ჩვენი ღირსი წინაპრის მარჯვენაძე ქვეტი გათალა, ნეტავ, ასეთი ვინ არის ლოდს ქერქი შემოაცალა.

ჭრიდა, თლიდა და აწყობდა ტაძრებს დაადგა ბჭენია, დალოცვილია კაცობა, ვისიც ღმერთს გაუჩენია.

სალოცავების შემხედი ქართველს ვაქებდე მახარებს, თუ მის ნიაღში შეხვედი გული შიგნიდან ხარხარებს.

ხატები გულის ნატვრები, სანთელი მათ წინ დაინვა, გეფერები და არ ვთვრები, შენმა მირონმა დამიცვა.

ფრესკები, გულის ეფენები, გალობის ჰანგმა აშალა, სვეტები, სპილოს ეშვები, რა ხელმა გაასაშვალა.

ყოველდღე თავს რომ გვახსენებს ყველაზე რაც კი გვადგია, თუ რამე კარგი არსებობს, სალოცავების მადლია.


....



ჯიტა ზარიასი

სიწოცხლე მირაჟია

დრო ყველაფერს ნაიღებს, ღრმად დავრწმუნდი ამაში, ნეტავ ვინ რას გაიგებს წუთისოფლის დრამაში. თურმე ჩვენი ცხოვრება არის ერთი თამაში, წუთ-წამები გარბიან წლების იაფნაში. გული გაიმისებს სიყვარულის ხანაში, სიცოცხლე მირაჟია ფერთა ლამაზ გამაში.



ზინაია ქიხიკვაია

რატომ დაიგვიანე?!

გული შევლას ითხოვდა, შენ კი ნელა იარე, როცა ჩემთვის მიყვარდი მაშინ დაიგვიანე.

გაზაფხულდა, აყვავდა ნუში, ბრონეულები... შენთვის დაკრეფილი მაქვს ბაღში მონეულები.

მკლავზედ შემოგეჭდები, როგორც წვიმა ხვიარებს, თუკი მოგენატრები ჩემკენ გამოიარე.

..ნულარ დაიგვიანებ. ცოტა ჩქარა იარე, გული შევლას კვლავ ითხოვს ჩიტივით მგრძნობიარე.

შენ ხომ ჩემი წლები ხარ, ჩემი მემატანე, როცა, ასე მიყვარდი, რატომ დაიგვიანე?!

მაინც, საყვედური ვთქვი, მაინც, მწარედ ვინანე, შენი ბრალი არ იყო. გაგიმხილე გვიან - მე.

....



ეკა კვიციანი /კატარინა/

ვფიქვ


ფიციავ, ღმერთს ვფიციავ, დედის თვალებს, სამშობლოს ზღუდეს, შეილზე ლოცვისას ჩამოღვენილ სულნათელ სანთელს, ვფიციავ გვირილას, მოჭიკჭიკე მერცხლების ბუდეს, მზეს გეფიცები და ცივ მთვარეს, სულ ღამენათევს.

მინას ვფიციავ და ნაპრალებში ამოსულ იას, ცაზე შეიფერა ცისარტყელას, ეულ ვარსკვლავებს, მთების ექოს და ზღვის ნაპირას წამოსულ ნიავს, ვფიციავ მეგობრის ერთგულებით მოხვეულ მკლავებს.

ვფიციავ ცის თვალებს, სიყვარულით ამოხეთქილ ლექსს, კერიას ვფიციავ, ბავშვობისას ჩამოხმულ ჰამაკს, მუზებს, სულიდან ამონვერილ, ამოხეთქილებს, სიკეთეს ვფიციავ, ტანში გამჯდარს, სულ თან რომ დამაქვს.

ვფიციავ გაზაფხულს, ფოთოლცვენას, ფარფატი ფიფქებს, ადამიანად დასარჩენად თუკი რამ მძძლია, ვფიციავ სამყაროს, ამ სოფელში რაც რამ მაფიქრებს, უსიყვარულოდ ერთ წამსაც კი არ შემიძლია.

....



საკვია სალვასო


ლოცვად დავიღვარე

ესლა სულს შევმოსავ, მწვანე მაქმანებით, მზეზე ვავიტან და რწმენას შემოვავლებ, გულში ღრმად ჩაფლულ ტკივილს დავენებდები, თუკი მიტყუებულ ცოდვებს გავიშვებ.

რწმენა აქამომდე მომყვა ნაშენები, ცოდვებს კი მაინც მე ვერ მოვრევივარ, ზოგჯერ უმანკო ვარ, სუფთა ვიბანები, ზოგჯერ ცოდვების მღვრიე მორევი ვარ.

ლამაზ სხეულს ურცხვად ისევ ვემონები, სარკეს უმზერ და... მზერა ამრევია, სულში ღრმად ჩასულს, გზები ამერიია, ის უმანკო გულიც სადღაც გამქცევია.

წავალ, გავიფიქრე, ავალ ცის კიდეზე, გზების არჩევაში, ლოცვად დავიღვარე, ისევ უფალს ვანდე, გზების განაპირზე, შანსი რომ მოეცა, ცოდვით რაც ვიკმარე.



ზინაია ქიხიკვაია

თუ ბედი გაქვს

თუ ბედი გაქვს, გაგიმართლებს. არ შეცდები არჩევაში. ვერაფერს დაგინუნებენ ნაწერებში, კამათებში, გარჩევებში.

თუ არადა, ყველაფერი, თუნდ ცხრიანზე ჰქმნა, დარჩებიან ვითარც შინა, მღალადებულთ ხმა.

რაც არ უნდა სიმართლე თქვა, ვერავინ ვერ შეიგრძნობს და გაიგონებს, შენს ტკივილებს, შენი გულის თქმას.

ქარს გაჰყვება მარტები და მაისები, გადაივლის აისები, დაისები, შენ კი ისევ ძველებურად უიმედოდ, დარდებით და მწუხარებით აივსები!

....



ზურაბ ქოშვლია

კინკლაობა მტრობას შობს

ნეტავ, პოლიტიკოსებს ჰყვარებოდეთ სამშობლო, ისე, როგორც პოეტებს, რომ როგორმე გვაშორონ:

ომები და ბუნტები, გზები - მტერთ სათარეშო, ნეტავ, როდის მიხვდებით, კინკლაობა მტრობას შობს.

მერე, მტრობა - ქიშპობას, გამშველებელს ეძებენ, არ დარდობენ, ვინ მოვა, იმრავლებენ ასე მტერს...

პოეტნი კი ლალობენ, ავედრებენ მამულს ღმერთს, სამშობლოს არ დათმობენ, ერთგულობენ ერთადერთს.

პოლიტიკა პოეტთა არის უფლის დიდება, რადგან ჯერათ, სამშობლო მალე ღვთით გაბრწყინდება

....



ზაირა ფრუშია

ვერ წავშლი

რამდენჯერ გამახსენდები, იმდენჯერ ცრემლი წამოვავ, ღმერთო, მითხარი ოდესმე, რომ ყველაფერი გამოვა.

იქნება შემადლებინო, ნაქცეულს ფეხზე დადგომა, ისევ მოთმენით ველოდო, ჩემი მზე როდის ამოვა.

მხოლოდ შენ იცი უფალო, რა ძნელი გზებით ვიარე, ყველა ჭირი და ვარამი, თუ როგორ გავიზიარე.

შესაშურ თმენით ვითმენდი, ვინ იცის, როგორ მტკიოდა, გზაზე დაცემულს მუხლებზე სისხლი რამდენჯერ მდიოდა.

ველარ ვუღიმი გაზაფხულს, მწვანით მოსილს და დარიანს, ძალა არ მყოფნის, ვერ ვშველი, გულს უიმედოს, დარდიანს.

ყოველთვის დუმილს ვარჩევდი, სათქმელს ვერასდროს ვამბობდი, გარეთ გაჭრილი ქარივით, დარდს მარტო ღამეს ვანდობდი.

წარსულს ვერაფრით ვერ წავშლი, განა დრო წაშლის იარებს, გთხოვ მომიტყევე უფალო, თუ არასწორ გზით ვიარე.

....

ლიტერატურული გვერდი - კოეზია



ნინო ზათიაშვილი

წამ-წამიერი

სამყარო

შენ ხარ,
თუ კი შენში
სიკეთე ხარობს...
თუ
მზის სხივით
გიციაგდება
ცრემლები თვალში.
უნდა ახარო
ფესვდამზრალი
იმედის კვირტი ...
გააფხვიერო
ბელტა-ბელტებში
მიმობნეული
უიმედობა და
როგორც გვრიტმა
საკუთარ ხუნდებს
ასწავლო
ფრენა.
ზე,
აღმა ფრენა...
და
იგრძნობ მაშინ -
ის
თვით შენშია -
სამყარო - ზენა!

ლექსი

რომ გწერო -
საბედისწერო
გადავდგა უნდა
ნაბიჯი ისევ.
მე უნდა ვწერო...

ჰო ,
უნდა ვწერო!
ფიქრთ-სვავებს ვისევ...
ჭაობში ვდგავარ
ვით
შავი წერო .
ლაცუჩახეულ თევზებს ვითვლი
და
ჩუმად ვისმენ
ყველას არიას...
თუმცა ,
სამყარომ ისე არია
ჰარმონია და
კაკაფონია -
სველია მზე და
ალარც
ფონია ...ვლპები ჭაობში.
ცოდვის და
წვიმის კოკისპირულიც
დარი გვგონია.
კაკაფონია არს
ჰარმონია...!
სიცოცხლით ტკობა !?
არა მგონია!

სისხლის ფერხულით
მოჭანილო
ქართველთ მეობავ.

ს - აქართველო.

ი - მერ ამერო
ს - ამყაროს გულო.
ხ - ვამლის მთის ჯადოვ ,
ლ - ილისფერ ნისლა
ი - ალბუზთ წვეწრო -
ს - ისხლთ დანაფერწო -
გემუდარები კვლავ
მ ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი !

ფ - ირუზთვალეა მზის სხივებო
ე - მზაზის თასში ,
რ - ვალის ქვაბით მოთუხთუხე
ხ - ვატო ცოდვისავ.
უ - არყავ ქრისტე , მირონად შეილებს
ლ - ორწო რძე ვასვი ,
ი - ავარდევქმნილვარ და
თ - უ მრცხვენია ნეტა ბოდვისა?

მ -ზე თვალებს მშანთავს...

ო , - რა მწარეა ცოდვის ნექტარი.
ტ - არტაროზების მოციქულად
ა - რ მსურდა ქცევა.
ნ - ინეველთ ბედზე გადაგვატარე
ი - ლოცე ერო !
ლ - ოცვა მთებს დაძრავს
ო - სანა , გვისხენ , მოგვმადლე რწმენა!

ქ - ვეყნის ლალატი
ა - რ ახალია - გულში მვიღს ვიცემ.
რ - ანი გაგვხადა ლუციფერის
თ - ვალთა ბრიალმა.
ვ - აი გვჭირს , ვუის ძიებაში
ე - შმას სულს მივცემთ...
ლ - იტონი სიტყვით ვლოცულობთ
თ - უ , რა მოგვდის ნეტავ.

მ - ოგვმადლე მადლი
ე - რისშვილობის ისევე ღმერთო!
ო - ბლის კვერთხით გამოგვიცხე
ბ - ედკრულთ, სევე- ბედი.
ა - გვალესინე გორგასლიანი
ხმალ-ხანჯალ-კვერთხი
ვ - ის რა ვუმტკიცოთ , ენა ჩვენი
თავად მისანი.

ხალხურ მოცივზე

რამდენი რამ მაქვს სათქნელი
რამდენს ვერ (არ) უბრობს ენაო.
ცრუ სოფლის ჟამში საცრელი
დარდები - ცრემლთა ფერაო.
ტიალმა წუთისოფელმა
წლები სულ , წალმა კერაო.
არც სიყმანვილე მაცალა
ჩამცალა ღერა-ღერაო.
ცის სილაჟვარდემ მამფინა
ფლალ-სერთა ფერა-ფერაო.
შემოდგომის მზემ მამწურა
სანახელს ჩამაფერაო.
წინ , ზამთრის თეთრი ტრამალი
სატკეპნი ჩემნილ წერაო .
მიმელის ხუცესთ ხუცესი
სიბერე , ღმრთის-მადლ ხელაო.
აბაა , ამ ზურმუხტ-დედემის
ვინა სთქვა ნისლში წვეწაო.
„ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო“
შეგვინდე უძლებთ - წყენაო.
გულ-გონმა შავგაძლებინოს

ქართულ, ჯიშ-გორულ მხელაო.
„აყვავდი ტურფა ქვეყანავ“
სამყაროს, უფლის ხელაო.

რექციები

ო, როგორ ვწუხვარ,
რომ იცოდე,
უფალო ღმერთო.
მეარღნეობა ვერ ვისწავლე ,
თუმცა დავბერდი.
ჩემს ჭიანურზე ვამღერებდი
ქართულ ხმით - სოლოს
მედროვეთ
გალა სიმფონიას კი
თურმე ვარღვევდი.

თურმე ვარღვევდი
ჯვბირებად აგებულ მრწამსს და
„სათნობისფერ“ თავისუფლებას
ვერ ვიფერებდი.
ო, როგორ ვწუხვარ
სალოცავ ხატად
რომ მყავდი მხოლოდ .
ჩემში ვერ იშვი ...
მანც გიყვარდი და
მიფერებდი.

სახასიათო

რძე ნანოვ ბაგეს როცა ხსნიდნენ ალიონები
ღრუბელთ ქულებში მზე ლივლივა შლიდა ბარაკებს.
შენ, გულო ჩემო, თურმე სიყვარულს აიოლებდი
სატრფოდ რჩეული რომ გიყვებოდა
შეთხზულ არაკებს.
ბაგე გამშრალი წრიალებდი გარიჟრაჟებთან,
ახალგაზრდობა შუშუნებდა
თავდაცულ ბოთლში.
უბე დამშრალი ნიაღვრები
გაშლილ მაჯებთან
ჩამოიღვენთნენ... სანთლები ჩაქრა.
თვალთ - ცრემლად მოცვდი.
ახლა გაჰყურებ მსუყე ალიონთ
მზის ლივლივითში,
როგორ შემორჩა სხვით მარგალიტნი
მთვარის ბარაკებს.
სიყვარულისთვის,
გულის ჩქროლვას რომ აიოლებდი
რჩეული სატრფო მითომ შემორჩა
წარსულ არაკებს.

ლიტერატურული გვერდი

ნინო მღაზრიშვილი

არ იტირო,
საქართველო!

სამშობლოსთვის გარდაცვლილნი,
მოჰყავთ გმირნი, სასახელო,
გმირები ხომ არ კვდებიან,
არ იტირო, საქართველო!

იამაყე ამ ბიჭებით,
სისხლი შენთვის დაუღვრიათ,
და სიცოცხლე სამსხვერპლოზე
წმინდა სანთლად აუწითიათ.


დედის ცრემლი გულს გელვრება,
შვილები გყავს, სანაქებო,
ცრემლი არვის დაანახვო,
არ იტირო, საქართველო!

მტერი გულღრძო და ვერაგი
ვერასოდეს დაგიმონებს,
მჯერა ჩემი საქართველო,
მხოლოდ გმირებს დაუწიქებს!

ქართველ ემიგრანტს!

ასე ლამაზი და ასე უცხო,
მითხარი, ჩემთან რამ მოგიყვანა,
როგორ იტირეთ ეს ტვირთი უხმოდ,
ვით შეგელა შენი ქვეყანა...

შენი სვე-ბედით განანამები
ედუმვარ, არ ვიცი ვით განუგემო,
დიდო იმედო შენი მთა-ველის,
შენი ოჯახის დიდო ნუგემო!



ცდილობ, ღიმილი იფარო ფარად,
თვალებს გინამავს ცრემლის კურცხალი,
ხელში გიჭირავს მოხუცის მაჯა,
ზევიდან ჩუმად გლოცავს უფალი!...

სად დაიკარგე, სად წახველ
ირემო, მთასა მყვირალო,
ველად გაჭრილო მიჯნურო,
ცრემლო, გულიდან მდინარო.

ქუჩო, მტირალი კლდის წვერზე,
ტაშდაუკრავო კალამო,
მთანმინდის მთვარე, ნათელო,
მერანო, სევდის მფარავო.

ყაყაჩოების ჭაბუკო,
ქალწულო, დალალ დანწულო,
სიტყვევ ხმალივით მჭრელო და
სიმღერავ, ცაში ასულო.

ჩემო ლამაზო ქვეყანავ,
ლეკვნო, დაზრდილნო მგლისანო,
გადარწეულო აკვანო,
ხარო, ერთგულო, მისანი!

ზურმუხტისფერო სამშობლოვ,
გადახვეწილო დედებო,
გაზაფხულია, გილოცავ
ზღაპრული მხარეც, ედემო!

შემხვდები და
გაოცდები...

დროის ფუნჯმა თვალთან ისე
მომახატა ნაოჭები,
ისე ფრთხილად და ფაქიზად,
შემხვდები და გაოცდები.

შემხვდები და წამსვე მიცნობ,
ისე შენად დამიგულეებ,
თითქოს მხოლოდ გუშინ იყო,
რომ მიძღვნიდი თაიგულეებს.

ისე შენად დამიგულეებ,
თითქოს წლები არც გასულა,
თავქარიან ჩვენს სიყვარულს,
შემახსენებ კვლავ ფარულად.

ნაოჭსაც მას დააბრალებ:
„ჩემს ლოდინში გაგჩენია,
მოდი, ერთად გავაგრძელოთ
გზა, რაც, ჩემო, დაგვრჩენია“.

მე კი გეტყვი: „დრო ამ ჩემს გულს,
იარებად ამჩნევია,
შენ კი არა, ნაოჭებად
მე ცხოვრება მამჩნევია“...

დროის ფუნჯმა თვალთან ისე,
მომახატა ნაოჭები,

შემხვდები და წამსვე მიცნობ,
შემხვდები და გაოცდები!

იქ დედამინა
ქართულად მღერის...

ცაში მივდივარ, თანამგზავრს ვეძებ,
მინდა ვარსკვლავეთს სტუმრად ვენვიო,
ეუამბო მწვერვალთ თოვლიან გზებზე
და ზეცის ცისფერ კალთას ვემთხვიო.

ვარსკვლავთ ციმციმი მძივად ავკინძო,
გულს დავიბნიო, გულში ჩავიკრა,
სიცოცხლე კიდევ ერთხელ ვადილო,
— „იქ რა გინდაო“, არა, არ მითხრა...

მარსზე მივდივარ, თანამგზავრს ვეძებ,
იქ დედამინა ქართულად მღერის,
მარსს წაფუკითხავ ტრფიალის ლექსებს,
არ წამომყვები?

შემოდგომის თილისმა

შემოდგომას თეთრი ყვავილები ამშვენებს,
როცა ქარი გაიტაცებს ფოთლებს, — მზისგან ნაფერებს!

როს ქალ — ვაჟის სიყვარული მაჭარივით დუღდება,
ხოლო ხეებს მელირება ქალებივით უხდებათ...

შემოდგომა — თვალწარმტაცი პატარძლების ფრიალი,
შავ ჩოხაში გამონყობილ ჭაბუკების ტრფიალი...

თეთრ ყვავილთა ზეიმი და სურნელება ხილისა,
ქვეყნად ვერვინ გაექცევა შემოდგომის თილისმას!

ლიტერატურული გვერდი - პოეზია



ია კურნიანი

რალა იქნება ანი ქართველის

ჩემი სამშობლო, უკვე ვერ იტევს უცხო ქვეყნიდან გადმოხვენილებს, თავს არ ზოგავენ, ისაკუთრებენ კარგ ადგილებს და ნოყიერ მიწებს.

საკითხავია, საფიქრალია, რალა იქნება ანი ქართველის, თუ ყველაფერი დაისაკუთრეს, ამ ჩვენს მომავალს ნეტა რა ელის.

რაც სურთ, სწაღიათ იმას ჩადიან, ზედმეტ სიტყვასაც არვინ უბრუნებს, დრო მოვა, ამას რომ ინანებენ, იმ მითვისებულს ვინ დაგვიბრუნებს.

იფიქრე თავო, იყურე გულო, ფიქრების ცეცხლში გადაბუგულო,

ამას რომ ვხედავ, ველარ ვჭუმდები, არც ბოროტი ვარ და არც უგულო.

ჩემი სამშობლო უკვე ვერ იტევს უცხო ქვეყნიდან გადმოხვენილებს, თავს არ ზოგავენ, ისაკუთრებენ კარგ ადგილებს და ნოყიერ მიწებს.

თუ ყველაფერი დაისაკუთრეს, რალა იქნება, ანი ქართველის, საფიქრალია, საკითხავია, ნინ, მომავალში, ნეტა, რა გველის.

გულში ვიხვევ და ვინახავ

გულში ვიხვევ და ვინახავ, ირგვლივ, რაც რამე მოხდება, ერთ დღესაც ბოლოს მომიღებს, ეს, ჩუმი დარდი, გოდება.

არ მიძიმს და არ მანუხებს არც საქმე, არცა ქმედება, ბნელ და გრძელ ღამეს, ფიქრები გულზე სულ ჭვალად მედება.

ვის დავემდურო, ვის ვუთხრა ეს სენი მე, რომ გადამდეს, უზომოდ ვებრძვი, ვუჩივი, ვერ მოვერიე სადარდელს.

ჩვევად ვიქციე სიმუნჯე, დარდს მთვარეს ვერურჩულები,

ვერ გავიმეტე ვერავინ, სხვებს ვერ ვატკინე გულები.

ძნელადაც, ვინმეს ვენდობი ან, რომ ვთქვა, ვინმე გამიტანს, უნდა ვმალო და ვაგროვო, სანამ ეს გული აიტანს.

სიმართლეს ვიტყვი ყოველთვის

ჯერაც რომ ვერ გამიგია, რა ვქნა და როგორ მოვიქცე, დღედაღამ ვფიქრობ, ვოცნებობ, ლამის, ქადაგად გადავიქცე.

როგორ დავნებდე, გავჩერდე, როგორ დავყარო ფარ-ხმალი, ტყუილს შევეკრა, შევება, არ ვამჯობინო მართალი.

თუ შევძლებ, მასთან ვიურჩებ, მივეძალები, რაც უფრო, ვატყობ, მეტ ტკივილს მომიტანს ნუთისოფელი, სანუთრო.

ნუთუ, ის უფრო ჯობია, როცა არ ამბობ არაფერს, ვერ ლაპარაკობ, ვერ ბედავ, გულში ინახავ ყველაფერს.

ასე ხომ ბოლოს მომიღებს, შიგნიდან შემჭამს ნუხილი,

მათ მისი გავატანინო, არა მაქვს ამის სურვილი.

ამიტომ მე თქმას ვაპირებ, მართლისთვის ცხენსაც შევეკაზმავ, სიმართლეს ვიტყვი ყოველთვის და მას არასდროს დავმალავ.

დღევანდელ დღეს და „ნითელ პარასკევს“

დღევანდელ დღეს და „ნითელ პარასკევს“. დამარცხდა სიკვდილი, იყო გოლგოთა და იყო „ჯვარცმა“ სერობის დროს და დღით „დიდ ხუთშაბათს“ — ამ დროს.. იუდა „იესო გასცა“.

არ დაინდეს და არც შეიცოდეს, ვინც მას იცნობდა, აქ განზე გადავა, ამ დღეს... „ნამებით ის აღესრულა“, კვირა დღით კი ის „მკვდრეთით აღსდგა“.

„მამა ღმერთს“ კი... სიმწრით თვალზე, ერთი მსხვილი „ცრემლი მოსწყდა“, ციდან რისხვა წამოვიდა, „ჩამოიქცა ზეცა მიწად“,

ამ დღის მერე ყველა ვამბობთ: „ქრისტე აღსდგა“ „ქრისტე აღსდგა“ „ქრისტე აღსდგა“ „ჭეშმარიტად“, „ჭეშმარიტად“, „ჭეშმარიტად“.

ლიტერატურული გვერდი - პოეზია



თინა სტეფლიანი

თუმცა გრძნობით ვინვი, ფრთების გაშლა ვერ გავბედე ბოლომდე მაინც... ვერც რაიმე ნიშნით განვასხვავე ნუთისოფელი...

უბრალოდ ვფიქრობ, სხვანაირად უფრო მარტივად... რომ ერთგულებით ვუპასუხო გულშემატკივრებს!!!

რა დავგრჩენია ქვეყანაზე სიკეთის მეტი, არ დავიბოლოთ თუ სამართალს ვერ მივაგენით...

არ იკარგება არც ერთი წამი უსიყვარულოდ,

უმისამართოდ ვერ დავტოვებთ ამდენ სულდგმულებს...

და თუ ამ ქვეყნად არ მივიჩნევთ თავს ბედნიერად, გული არ დაგვწყდეს ეს ყველაფერი დროებითია...

დადგება ჟამი განკითხვისა ჩვენი სულებს, „უზენაესი“ ჩვენ მიგვიჩენს, ჩვენს ნილ სალოცავს...

ეხ, ცხოვრებავ, ხან მწარე ხარ, ხან - ტკბილი, ხან მაღლა ხარ, მწვერვალსაც რომ სწვდები, ხან მიწაზე სულ დაბლა ხარ გართხმული, გემინია, არ გაგისკდეს ეს გული...

ხან ცაზე ხარ, მაღლა, მაღლა დაფრინავ, ხან სიზმარში, ლამის ფსკერზე ჩადიხარ... მთავარია არსად გადავიჩეხოთ... მშვიდობით და სიყვარულით ვიცხოვროთ...

ნეტავ, სადმე თუ შევხვდებით ჩვენს ნატვრას, რას ვისურვებთ, ან საერთოდ, სადა ვართ!? ვფიქრობ ჩვენი სურვილები აორთქლდა... ან შორს არის, მარტოკაა დაობლდა...

ალარ მკითხავთ, რა სურვილებს ვნატრულობთ!? რა გვინდა და რაზე მოგვდის ცრემლები!? ქვეყანა გვაქვს არნახული, სიმდიდრით... მაგრამ ხალხი, სულ არაფერს არა ვფლობთ!!



თამარ კობიძე

შვილებს

თქვენ რომ ილიმით, სულში ვარდი დაკვირტვას იწყებს, ია იშლება, სურნელს აფრქვევს იასამანი. როცა ილიმით, გული უფრო სხვაგვარად მიცემს, თქვენი ღიმილი ჩემთვის არის ტკბილი ნამალი. მე თქვენს ღიმილში თბილ და კეთილ სამყაროს ვხედავ, და მონივნებით, სამადლობელს ვუძღვნი ღვთისმშობელს. თქვენი ღიმილით მეთბილება მე ცაზე მზე და თქვენს თბილ ღიმილში მადლით სავსეს, ვპოვებ სიცოცხლეს!

მე დავიზაღე

მე დავიზაღე შემოდგომის წვიმიან დილას, როდესაც ქარი ხმელ ნეკერჩხლებს ამტვრევდა ტოტებს, გაძარცვულ ხეებს ასველებდა ნოემბრის წვიმა და ძირს აფენდა მოფარფატი, ოქროსფერ ფოთლებს.

მე დავიზაღე ოქროსფერი ნოემბრის თვეში, როდესაც ქარი საცეკვაოდ იწვევდა ხეებს, როდესაც ღვინო ჩუხჩუხებდა ჯერ ისევ, ქვევრში, მე მაშინ შევხვდი დედის თვალეში ანთებულ მზეებს.

როდესაც ქარი მზეს ახვევდა თვალეში ღრუბელს, როცა ბელურა აფარებდა თავს ეულ ფოთლებს,- მე შევეფარე მაშინ დედის უთბილეს უბეს და მე ეს სითბო კიდევ ბევრ ხანს მიწა რომ მქონდეს!

მე დავიზაღე ოქროსფერი ნოემბრის დილას, როდესაც ქარი ხმელ ნეკერჩხლებს ამტვრევდა ტოტებს...



თინა გასაკიძე
დიდება მეგოსანთ...

შენ, საქართველოვ,
ლექსის მუზავ,
დიდო აკვანო,
მეგოსანთ საუფლოვ,
დედასავით დასაფიცარო,
ბევრი მეგოსანი გამოზარდე,
დააფრთიანე,
მათ საქართველოს,
ჭირ-ვარამი გაიზიარეს...
გაიზიარეს,
ყველა კუთხის,
ძნელუამბედობა,
და მისხალ-მისხალ,
პოეზიით გადმოგვცეს სრულად,
ბევრის ცხოვრებას
მოეკიდა, ხავსი
და სევდა,
და ბედ-უკუღმართ
ცხოვრებაში,
უკვლოდ ჩაქრა...
ვერ დაფასება,
პოეტების, მეგოსანთ
ხვედრია,
მათი კალამი
სიმართლისთვის მომართულია,
სიმართლის თქმა,
თუ უთქმელობით
ჩასახშობია,
მაშინ არც მეგოსანს,
არცა პოეტს,
არ უცხოვრია...
თუკი დადუმდა,
სიმართლის თქმა,

მლაღადებლისა,
პოეტს ჩაუქრა,
მუზა, წყარო შემოქმედისა,
მწარე სიმართლეს, თუ დაჯაბნის,
ტკბილი ტყუილი,
მამ, რა ყოფილა,
თვით მიზანი,
პოეზიისა?...
არა და არა!
მე შეენატრი,
იმ ქართველ მეგოსანს,
ვინც თავის კალამს,
მასხვილივით
ახლაც მოიხმარს,
არ დაუხუჭავს,
სიმართლეს თვალს,
ავსა და მუხთალს,
ქვეყნის ჭირ-ვარამს,
ნათელს მოჰფენს,
ლექსად ასახავს...
როს სამშობლოსთვის
მათი გული,
ვით სამსხვერპლოზე,
დანივას, დადნეს,
როგორც სანთელი,
მაშინ ექნება პოეტის
ხმას, სიტყვა და ფასი,
პოეზიაა...
უფლის სახლი...
და სასწაული...

ღ ე ღ ა...

დედა-საწყისი
ყველა სიკეთის,
დედა-იდუმალ
ფიქრთა მცნობელი,
დედა-ამქვეყნად
არის ღვთიური,
მისი ხატება,
მარადიული...
დედის სითბო და
დედის აღერსი,
ფიანდაზივით
გულს გვეფინება,
დედის ვედრებას,
ლოცვა-კურთხევას,
იმ ქვეყნიდან

ვერძობთ,
სულ თან
დაგვეყვება...
თუ სულიერად
განგვეშორება,
სხვა სამყაროში
დაიდებს ბინას,
თუ დაგვეჭირდება,
ხელის ცეცებით,
მოვა...
დაგველოცავს...
გვიჩვენებს
სწორ გზას...
არაფერია მარადიული,
რაც გადაურჩა დროის
დინებას,
ყველაზე წრფელი
და შეუცვლელი,
მარად იქნება
დედა-შვილობა...
საცქერლად
მეტად საამური,
როცა დედა შვილს
ეაღერებს,
დედა-შვილობის
მაღლი ეფინოს,
მთელ საქართველოს
და ყველა ჩვენგანს...

ზღვა ღელავს...

ნეტავ რად
ღელავს,
რა აწვალავს,
უსასრულოდ ზღვას?
რად ეხეთქება
გამმაგებით,
ნაპირს ტალღები?
ისე ბობოქრობს,
ისე ღელავს და
ფორიაქობს,
ვით მეამბოხე,
ჩემი გულის,
სულის ნაწილი...
აზვირთდებიან...
ოცნებებში
ფუჭი ფიქრები,
გადალახავენ,

მიუნვდომელ
მთებს და
ჭიუხებს,
შემომატარებს,
ლალი ფრთები,
ცის დასალიერს
და ოცნებები
კვლავ შეიძენს,
სიზმრისეულ
ფერს...
ფრთამოტეხილი,
ვით უსულო
დავიარები,
უსამართლობის
ლაბირინთში
გზაბნეული,
ვერ დავაოკე
სული ჩემი,
ვით ბობოქარი,
აზვირთებული,
ზღვის ტალღების
თანაზიარი...
სანამ ჩვენს
წარსულს,
მტკვარს და
არაგვს
ფუჭად გავატანთ,
და არ გვადეღვებს,
არსაკიდის მკლავის
მოკვეთა,
სანამ არსებობს
ქართველთ ხელით,
ძმათა განირვა,
არ დამშვიდდება
სული ჩემი,
ვერ დაოკდება...
დე, ჩემი ღელავს,
შეგებად იქმნეს
და აღმაფრენად,
გზა გაკვალული
რომ არ დაგვრჩეს,
მხოლოდ იარად,
სიყვარულია
ერთადერთი,
რაც გადაგვარჩენს,
როგორც ეფვანი,
უნდა ჟღერდეს,
სულ მთავრებდა...

ღმერთი
სიყვარულისა...

თუ სიყვარული ღმერთია
და, ჩემთან არს
ღმერთი,
შენც ჩემთან სახლობ,
გზას მინათებ,
როგორც სანთელი,
ალარ დაგვიძვებ,
ალარ გნატრობ,
ალარც მოგელი,
სულ ჩემს გულში ხარ,
როგორც ჩიტი,
გამომწყვდეული...
ხან ახლოსა ხარ,
ხანაც შორი,
მიუქარები,
სადაც კი წავალ,
თან დამყვები,
როგორც მეგზური,
ასეთ სიყვარულს
მე დავარქვი შენი სახელი,
ვით თეთრი გედი,
სიყვარულით ამღერებული...
გადავივლიან,
სიყვარულის თაენება წლები,
როს გაელვება,
წუთისოფლის არის სადარი,
არ დავიღვლები...
სიკვილამდე იმ შთაგონებით,
რომ სიყვარული
სათავა, ყველა სიკეთის...
წლები მიჰქრიათ,
ვერას აკლებს,
სიყვარულს ჟამი,
ძლიერ სიყვარულს,
ინახავდნენ მეგოსნებიც
გულში,
ყველა ნაფიქრალს,
მარცვალ-მარცვალ,
ლექსად აკინძულს,
შენ დაგიტოვებ...
საფლავთან მოსულს...
იებით ხელში...



ლორიტა ალქსანდრია

ეგ წიგნი ვფურცლო

ო, როგორ მინდა ეგ წიგნი ვფურცლო.
ვიცოდე ყველა აბზაცი წიგნის.
ქათქათა ქალაღდს ნაზად შეეცხო.
და ხელის მოსმით დავხატო ჩრდილი.

მერე ჩამოვჯდე წყაროს ნაპირას,
აქ ვეფხის ტყავში ვნახო რაინდი.
მანაც ვეფხივით იგლიჯოს გული.
მკერდს მიფარავდეს, როგორც არწივი.

ო, როგორ მინდა, ჩემზე რომ წერონ,
წერონ და წერონ ლექსები რითმით.
ჩემთვის სულ ერთი არის ამინდი,
როცა ყდის მიღმა მიმალავ ღიმილს.

იყოს ცდუნება. არა, არ ვჩივი
და გაელვება, სიზმარი სხვისი.
ო, როგორ მინდა გავრისკო დილით,
საღამოს მაინც მაშიშვლებს შიში.

ვიცი, ვიპოვი სადმე მე აბზაცს,
ზურგშექცეული იქნები ვიცი.
გადასარკული ნაკვთები მითში,
უამინდობას ხლართავენ შიშით.

და დატანჯული შუშის თვალები,
ცრემლებში ცურავს, ფსკერისკენ მიდის.
ახლა ღამეა. შუაა ისიც.
და გათენებას მოველი ვიღწვი.

იქნებ შენც ნახო და გადაფურცლო,
ობობდებული ზღაპრების წიგნი.
და თუ მიშველი, და თუ მიშველი
და თუ აბზაცში, გვერდს დამიჯდები...

მეც დავიმშვენებ ზღაპარში ყოფნას..
მოვალ და გულში შიგ ჩავიჯდები.
ო, როგორ მინდა. ო, როგორ მინდა
სამყარო ჩვენი რომ იყოს დიდი.

და როგორ მინდა. ო, როგორ მინდა,
ვფურცლო და ვფურცლო ეს ჩემი წიგნი

ასაკი თავისას იტყვის

ასაკი, ალბათ, თავისას იტყვის.
არ დაგიმალავს, თავის აზრს, ფიქრებს.
ზოგჯერ, გლაღატობს და იწყებს ქირქილს.
ზოგჯერ გთანაგრძობს, გულის კარს გიღებს.

ასაკს სათქმელი, ბევრი აქვს ისე.
როგორ მოვიდა, დღემდე და გვიძილებს.
მოგონებაში იჭრება ისევ,
თვალის ჩინს გაკლებს, ჭაღარას გირევს.

ყოველი დილა, რაღაცას ჩივის.
ცისმარე დილით, დაგიტელის სიზმრებს.
თავს შეგახსენებს, დრო რჩება მცირე
და საბარგულში ილაგებს ნივთებს.

ხანაც დღე არის, დილიდან გიტყვის.
დღე ბედნიერი, გიცინის ისევ.
ჰაერში ბუმტებს ბერავ და ითვლი.
და ცისარტყელას აფერებ თითებს.

ასაკი, ალბათ ბევრ რამეს იტყვის.
თუ დააცადა განგებამ მისვე.
ხან გაგაოცებს ღილინით რითმზე,
ხანაც ჩაკვივის, გულის ძარღვს გიფლეთს.

ასაკი ალბათ, თავისას იტყვის.
არ დაგიმალავს თავის აზრს, ფიქრებს.
ზოგჯერ აგაფრენს და გაგრევეს ჩიტებს.
ზოგჯერ, უნდობლად ჭაობში გითრევს.

აუგს ნულარ იტყვი

ფარდას ავაფარებ ფანჯრებს.
წავალ. გავიხურავ კარებს.
გულში იარაზე დარდებს,
კიდევ დავამატებ სხვას, ბევრს.

ვიცი, ამაოა ახლა...
შენზე ვისაუბრო, თან მე.
ჯანი გამივიდა და ფრთებს,
ქარი უმონყალოდ მგლეფს, მგლეფს.

დილით დაობლებულ ვარდს, ნაზს,
ტუჩით მკერდს აკედება სხვა ქალს..
მე კი ქარიშხალი მავნებს.
ღამე შემაუღლებს ღამეს.

ღამე, შეყვარებულს სხვაზე...
ტირის და იხოკავს სახეს.
გული საგულეში განგებ,
განგებ აკაკუნებს კარებს.

ვიცი, ამაოა ახლა...
ავდგე, სიყვარული ავხსნა.
ამდენ „იქსიგრეკში," ათვლამ
თავგზა ამიბნია რა ვქნა?

მოდ, დავილაღე, დამთმე?!
ათვლა ცის ბილიკზე მამცნე.
იქნებ იქ ვიპოვო ცაზე,
ჩემი სამოთხე და სხვა მზე.

მოდ, მე დავხურავ კარებს.
შენ კი ნუ დამძრახავ, მაქე.
და თუ მოგიგონო სადმე,
აუგს ნულარ იტყვი, დამთმე!?

ისევ დავხატავ

ღღეს, დაჟინებით ყველგან შენ გეძებ.
ყველა ოთახში, სილუეტს ეხატავ.
იქ, სადაც ადრე შენ იდექ ლაღად,
ახლა, ველური ვარდია ნაზად.

ახლოს ტირიფი ტირის, გონს კარგავს.
ცივ ქვას, ეღვრება ცრემლები ნაზად.
სიცივეს მგვრიან, აქ მზის სხივებიც,
შიში მიპყრობს და განვიცდი ჯავრად.

და ახლა მივხვდი, მე ჩემს შეცდომას,
თურმე კარები, არ დამიხატავს.
ეკლები ისე ხარობენ ავად,
ვიცი, დამწინკნის, ვერ გავალ საღად.

უკან მომდევნე მოგონებები.
მე კი, გავრბივარ ჩქარა და ჩქარა.
იცი? დავეჭვდი, უეცრად თანაც.
იქნებ, განგებამ ჩამკეტა განზრახ.

ყველა კუთხეში შენ დგახარ წყნარად.
რამაც ყველაფერს გადააჭარბა.
ყველა ოთახის კედელზე, მკრთალად,
მოჩვენებები მიტევენ მწყურალად.

ვერ გაგაღმიე, ყურებით მძაბავ.
და გალიაში, ჩიტივით დამფრთხალს,
გარეთ რა ხდება, აზრზე არა ვარ.
ამ ოთახებში დავკარგე ათვლა.

აქ სხვა სამყარო, გიფლითავს კაბას.
აქ სიცივეა, მაგრამ შენა ხარ.
იქ ცარიელი ქუჩები გლახად
იგრისებთან, ტალახში წვანან.

უთუოდ ახლა კარებს დავხატავ.
გარეთ გასასვლელ გზასაც მივბამ.
ვფიქრობ, მომიწევს წასვლა ამაღამ,
სხვა გზა არაა, დრო აღარ დამრჩა.

გემშვიდობები, მე ისევ მოვალ.
ისევ დავხატავ, სხვაგვარად ახლა.
ტუჩთან კუთხეში, ღიმილს ჩაკაკრავ.
თვალებს ღამაზად, ღამაზს სხვაგვარად.

მკლავებს გაგიშლი, თმებს ჩამოგიშლი.
და მოლოდინში, მზის სხივთან დავგვამ.
გარეთ, დავკრიფავ მინდვრის ყვავილებს.
მოვალ და გულში, ჩაკაკრავ ნაზად.

მაცოცხლებელი ენერჯითი ბაპორჩაული



ბიორბი კვესიტაძე

წელიწადი წელიწადს მისდევს, საუკუნე – საუკუნეს და ადამიანის გაჩენის არსი ბოლომდე ამოუცნობია.

ეს არ გამოდგა ადვილი საქმე და მეცნიერები დღემდე ცდილობენ ამოხსნან ჩვენი ყოფის მიზეზი და დანიშნულება.

ერთი რამ ცხადია – უფალმა ადამიანს უდიდესი ფსიქო-ფიზიკური ენერჯია უბოძა, ოღონდ იქვე გააფრთხილა: „შეიცან თავი შენი“ და ყოველ საიდუმლოს ეზიარებო.

მაცოცხლებელ ენერჯიას, დღევანდელი ცოდნით, სამი უმთავრესი წყაროდან ვლენობთ: ჰაერიდან, წყლისაგან, საკვებიდან...

ყველაზე მალე ადამიანი უჰაეროდ ილუპება, საამისოდ სულ რაღაც 2-3 წუთია საჭირო!

მასასადამე, უფალმა ჰაერის მეოხებით გვიბოძა სიცოცხლის უმთავრესი წყარო. ჟანგბადში არსებობს გასაიდუმლოებული ენერჯია (ვერობულად – „ეთერი“, აღმოსავლური სიბრძნის მიხედვით კი „პრანა“), რასაც ჩვენი ორგანიზმი არა მხოლოდ მოიხმარს, არამედ, სათანადო ნერვული ცენტრების (მაგალითად – „მზისნული ნერვი“) მეშვეობით კიდევ ინახავს ე.წ. „შავი დღისათვის“.

ოღონდ, არიან პიროვნებები, რომლებიც უფლის მიერ ბოძებულ მაცოცხლებელ ენერჯიას

მხოლოდ სათავისოდ იყენებენ, მაგრამ... საბედნიეროდ, არსებობენ რჩეულნი, ხსენებული ენერჯია მოყვასისთვის რომ ემეტებათ!

ჩემს ცხოვრებაში სულ ორჯერ გადმომეცა მაცოცხლებელი ენერჯია, როცა უდიდესმა სასონარკვეთამ მომიწია.

ერთხელ მამაჩემისგან, კონსტანტინე დავლიანიძისაგან 1984 წელს!

მეორედ – 2017 წელს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, ბატონი გიორგი კვესიტაძისაგან!

1984 წელს რაჭაში, ჩემს სოფელ სხვაგაში სტუმრები ვანვით მამაჩემ კონსტანტინეს!

მოიხადა ქვევრი, დაიმტვრა ნიგოზი, მაგიდაზე ჩამოიდგა კრახუნით შემკული ძველშავი (ხიმშური), შქმერული, ყველი, ჯონჯოლის მწნილი და სუფრაც განვივრცო მამა-პაპური სადღეგრძელოებით და სიმღერით!

დილაუთენია მეღვიძება ნაბახუსევს და რაჭულად რომ ვთქვა: ღვინისგან გალახულს ყურში ჩამესმის სიკვდილის სუნთქვა!

ამ დროს კარი შემოაღო მამაჩემმა, მომიახლოვდა, ახლოს ჩამომიჯდა და მითხრა: „ნამეტანი მოგივიდა, შვილო, კარგად ქე მოილხინე, მარა... ის ორლიტრიანი, ვაზისტარდაგებული ხრიკა რაღამ დაგაღვივინა, შე კაცო! ჰოდა კი დაგჩაგრა, შვილო, სასმელმა“.

ჩემგან პასუხად სამად სამი სიტყვა მიიღო: „მამა, ვგონებ ვკვდები!“

ამის თქმა იყო და შემომძახა: „არ გაბედო, შე მამაძალო!“ და მარჯვენა ხელის დიდი მტევანი მკერდზე მომადო, მცირე ხანს გააჩერა, შემდეგ დაატრიალა...

საოცარი სიტობი ჩამეღვარა სხეულში, რამდენიმე წუთში ჩამეძინა და როცა გავიღვიძე,

თავს ისე ვგრძობდი, თითქოს არაფერი მომხდარიყო!

2017 წელს კი, შვილიშვილი მოვნათლე, სტუმრები მოვიპატიჟე და ჩემმა უფროსმა მეგობარმა, ეროვნულმა მოღვაწემ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა ელიზბარ ჯაველიძემ, ბატონი გიორგი კვესიტაძე მასტუმრა!

სუფრას უძღვებოდა სახელგანთქმული მოჭიდავე, მსოფლიო ორგზის ჩემპიონი, ბატონი გურამ საღარაძე... დიდად მოვილხინეთ. ჩემს მიერ დაწერილი ღვინო ჩინებულ-ჩინური ძალიან ესამოვნათ სტუმრებს, მაგრამ ორიოდ ლიტრი, ასევე ჩემი ტალავერის ჩხავერი, შავი პინოთი შეზავებულიც მივაშველე სუფრას... ვხედავ, რომ პირი არავინ დააკარა ლალისფერ ღვინოს და უცბად, ბატონმა გიორგიმ ხელით მანიშნა – ჩემსკენ მოდი, აქეთ მოიწიეო.



ჯემალ დავლიანიძე

მიმითითა სასმისზე და მკითხა: რა ღვინოა? ჩხავერი და ცოტა პინო-მეთქი, – ვუპასუხე. გაეღიმა და მითხრა – აქ ამ ღვინის ყადრი, ვგონებ ყველას არ მოეხსენება, თვალი ჩემსკენ გეჭიროს, არ მომაკლოო!

როცა ზარხომმა იმატა, ყანმა იელვა და სიმღერაც ზედ დაერთო, ბატონმა გიორგი კვესიტაძემ მთხოვა: ვენახში გამიყვანე, ის ვაზები მაჩვენე, რომელთა მტევნის ნაჟურიც შევსვიო...

შეზინდებულა, მაგრამ ცრიატი, ღრუბლიანი ღამე დგებოდა და გარემო კარგად დაინახვოდა. ხეივანის შუაგულში ორ ვაზს შორის შევჩერდი – „აგერ, ბატონო გიორგი, ესენია სენაკის რაიონის სოფელ ხორშიდან ნამოღებული ჩხავერის ყოფილი ნერგები“.

ბატონი გიორგი ფრთხილად, მონივნებით მიუახლოვდა, შუა ჩადგა, ორივე ვაზს ხელები მოჰხვია, როგორც უძველეს მეგობრებს და ხმადაბლა თქვა: „ამ ვაზებს გეფიცები, შენ თუ კი კაცი არ იყო... დღეს ამას იქით, „ბატონობით“ აღარ მომმართო და მარჯვენა ხელის გული მკერდზე მომადო...“

რა თქმა უნდა, წამსვე გამახსენდა მამაჩემის მარჯვენა და ახლავე გეცყვით რატომ: რამდენიმე წელიწადი ერთი მოთხრობის დასრულებას ვცდილობდი და ძალიან გამიჭირდა. კინაღამ ნერვოზმა შემიპყრო. ასეთი რამ სიცოცხლეში არ დამცდომია თავს, თუმც ამასობაში ერთი რომანი, რამდენიმე მოთხრობაც დაეასრულე, მაგრამ ხსენებული ვრცელი მოთხრობა (სათაურით: „რა მიაქვთ დედამინიდან?“ ანუ „დაკანონული სიყვარული და ნობელის პრემია“) ვერასგზით ვერ მოვამთავრე.

აი, სწორედ ამ „მწერლური ძნელებლობის“ ჟამს დამადო მკერდზე თავისი კეთილი მარჯვენა...

გავიდა რამდენიმე დღე და... ძველებურად მივუჯექე მაგიდას, თავი ზემოთაც კი არ ამინევია, ისე გავასრულე „საჯახირო“ მოთხრობა!

გადავიკითხე კიდევ ერთხელ და დავასკვენი, რომ ასეთი ნაწარმოები, არც ადრე, არც შემდგომ არ დამინერია...

იშვიათად კი არა, მხოლოდ ერთადერთი მახსენდება, როცა ჩემი ნახელავი, ნააზრევი ძღვნად მივართვი ვინმეს, მა-

გრამ... სწორედ ეს მოთხრობა „რა მიაქვთ დედამინიდან?“ ანუ „დაკანონული სიყვარული და ნობელის პრემია“ ბატონ გიორგი კვესიტაძეს ვუძღვენი. თუმცა ჯერ გამოქვეყნებული არ არის. სულ მალე ვაპირებდი დაბეჭდვას სალიტერატურო ჟურნალში და მსურდა ბატონი გიორგისთვის სიურპრიზად მიმერთმია, მაგრამ...

რადგან წელს მისი დაბადების მე-80 წლისთავია, ამ წერილით ვულოცავ და შემდეგ, როცა ზემოთხსენებული მოთხრობა დაისტამბება, ვფიქრობ, რომ გავახარებ...

ვაზების ხელგადაძვევებს და მაცოცხლებელი ენერჯიით უფლისგან გამორჩეულ ქართველს, საზოგადო მოღვაწეს, აკადემიკოსს, დედა-ბუნების გადარჩენაზე დღედაღამ მოფიქრალს, „მამულზე, ენაზე, სარწმუნოებაზე“ მოჭირანხულე ბატონ გიორგი კვესიტაძეს ვულოცავ დაბადების დღეს!

ღმერთმა გვიმრავლოს მისდარი მამულიშვილები!

ჯემალ დავლიანიძე,
მწერალი

P.S. გაზეთ „სახალხო განათლება +“-ის სარედაქციო კოლეგია და რედაქციის თანამშრომლები გულმხურვალედ ვუერთდებით ბატონ გიორგი კვესიტაძის მე-80 წლისთავის იუბილის მილოცვას. ვუსურვებთ მას ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს, წარმატებებსა და წინსვლას, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობასა და სამყაროს გაკეთილშობილებაში.

რედაქცია

კოეტი თვალთ დანახული ომი



ბაბრილ-თამაშ ლომაჯანიძე

*** მამულისათვის თავგანწირული

ცას გადაკვრია დენთის კვამლი როგორც ღრუბელი, ბომბების სეტყვა უკრაინის მიწას ეხლება; ბომბთა და ნალმთა აფეთქება-გრგვინვა-დგანდგარში სიკვდილის ცელი არვინ იცის ვის შეეხება.

შეგვებო ქართველთ მართლად მწარედ და გულსატკენად, წარგვტაცა გმირნი მრავალ ომში გამობრძმედილი, საქართველოსთვის მებრძოლნი და თავდადებულნი და დაგვიტოვა გულში დარდი, მწვავე ტკივილი.

ჩვენი გმირების დათოს, ბახვას, ვიას სახელებს ერთი წმინდანთა სახელების დარად ინახავს; საუკუნეებს გადასწვდება მათი გმირობა, შთამომავლობა დიად მიზნებს მით დაისახავს.

მტრის ვერაგობას შეწინააღმდეგებულნი გმირნი მამულის სიამაყე, ერის დიდება; თავი განირცხ მამულისთვის, მოძმე ერისთვის მათი გმირობით საქართველოს მზე გაბრწყინდება.

დავტირით გმირებს, ცხარე ცრემლი გვისველებს თვალებს. არა, ცრემლები გმირთ დიდებას არ ეკადრება; მათი გმირობის საპასუხოდ მოვალენი ვართ, რომ ვუზრუნველყოთ მშობელ ქვეყნის გაძლიერება.

ვალი დაგვდეს ყოველ ჩვენგანს და შთამომავალთ, ვალი დიდი, საშვილიშვილოდ გადასახდელი, მამულისათვის თავდადებით, ალალი შრომით, მოვალენი ვართ, რომ ვიხილდეთ ყველა ქართველი.

დღეს ბევრი გმირი, შვილი დედა საქართველოსი, პირნათლად იხდის ამ წმინდა ვალს წინაპართ დარად; უკრაინის და საქართველოს სადარაჯოზე დგას ღირსიულად, შემართებით, მტკიცედ და მყარად.

*** ნუთუ უქმია გონება კაცთა

ჭკუა-გონებით მძლეთა მძლეთა მოდგმა კაცისა, ცოდნით ძლიერი, მპყრობელია მიწის და ცისა. ათასწლეულებს მოუყვება კაცობრიობის შემქმნელი გენი, საოცრებაა კაცის ნიჭი, მისი საქმენი.

კაცობრიობამ რამდენი ქმნა საქმე დიადი; წკვარამი ღამე გააბრწყინა, მოსპო წყვდიადი; ზეცა დალაშქრა, მოიკვლია ქვემეთი ზღვისა, მპყრობელი გახდა უძლეველი მიწის და ცისა.

მაგრამ ერთ რამეს რად ვერ ხვდება კაცთა გონება მოსპონ სისხლისღვრა, მოძმეთ ხოცვა და დამონება; მოძმეთ განირვა, ტანჯვა-წამება დაუნანებლად, ერთურთის ჟღერა უღვთოდ, უაზროდ შეუბრალებლად.

ომი მძინვარებს მრისხანედ და გულშემზარავად, დენთის კვამლი მთლად გადაკვრია ცის გუმბათს შავად. დაჭრილთა კენესა ზეცად ადის, ვარსკვლავებს სწვდება, ლამის გულს გმირავს დალუპულთა დედების და ცოლ-შვილების მოთქმა-გოდება.

შფოთავს და ბორგავს კაცთა მოდგმა ცოდვით ავისილი, სამართალს ითხოვს უმანკო სისხლი უღვთოდ დაღვრილი. აფეთქებებით შეძრულია დედა ბუნება. ყველა გასროლა ეკოლოგიურ კატასტროფად დაგვიბრუნდება.

მანც ვინ არის ხოცვა ჟღერტვის სისხლის ღვრის მწდომი? მხოლოდ ხარბ მეფეს ან ბრიყვ მმართველს სჭირდება ომი. სხვათ ბედის მართვა რად მიენდოთ მავანთა ბედით? თავის ფლიდობით, ხალხის არ ცოდნით თუ ღვთის განგებით?

ნუთუ არასდროს ეღირსება კაცთა მოდგმას მშვიდი ცხოვრება, თავისუფლება, შემოქმედებით შრომა-შენება?

დროა, დაფიქრდეს ყველა ჯურის ჭკუით ურჯუკი, მოხუცებული, ჭარმაგი თუ ანცი ჭაბუკი. გონებას უხმონ, დაივიწყონ შური და მტრობა, რათა გადარჩეს ღვთისგან ნაკურთხი კაცობრიობა.

სულისმიერი, სიყვარულისფერი

„ერნესი“ ასე უწოდებს საკუთარ თავს დათო ქაქუთია. ეს მისი ფსევდონიმა პოეზიაში. მე კი მის შემოქმედებას სულისმიერი, სიყვარულისფერი შევარქვი. „ერნესი“ (საქა და შემდგომაც დათო ქაქუთიას ფსევდონიმი მოვიხსენიებ) თავისი შემოქმედებით, სულიერი სიღრმეებით სულისმიერი პოეტია, მისი ლექსები თითქოს, ამურის ანგელოზის სახეს იღებენ და პანანია ისრებს ისვრის „ერნესის“ კალმით. თითქოსდა მარტივი სიტყვები, ფრაზები მისი შემოქმედების ღრმა და სიყვარულით აღსავსეა, ასე გგონია იმდენად მსუბუქია, აგიტაცებს ბუმბულივით და აგაფრენს ზეცად.

„დამძული ბელურებით მოფრინდენ სიტყვები, სიყვარულზე დასანერი ლექსების ასაკენკად...“

„ერნესის“ შემოქმედება მრავალადა ასეთი მარგალიტებით დახუნძლული.

„სველი ფანჯრის მინაზე წვიმის წვეთიც დამძიმდა, მომანატრა შენი კოცნა, ამ უხეშმა ამინდმა...“

ის სიყვარულს უმღერის თითქოს, იმდენად ღრმადაა მასში სიფაქიზე გრძობათა გადმოცემული, გოცდები, საიდან ამოაგვირსტებს ასე ლამაზად და გადმოსცემს თავის შემოქმედებაში „ერნესი.“

„ჩემთან ერთად ლოცულობდა ფოთოლი, ღამე გავდა ზღაპარს სევდის მოყოლილს, საზღვრებს მიღმა დაფრინავდა ცრემლი ცას ეხატა პოეზია ღმერთის, სულ სხვა იყო მელოდია ქარის, ამქვეყნიურს არც ერთი არ ვგავდით; ჩემთან ერთად ლოცულობდა ფოთოლი ღამე გავდა ზღაპარს სევდის მოყოლილს...“


„ერნესის“ შემოქმედებას ვერავის შევადრი, არც კი მახსენდება არავინ, ოდნავადაც რომ შევადარო. მისი შემოქმედება ნაღველნარევი სიყვარულივითაა. ზოგჯერ თითქოს სურს დარწმუნდეს საკუთარ თავში ანდა იმ გრძობაში, რომელ მუზასაც კი ის ამ ტაეპით მიმართავს.

„გამიშვებულ გრძობის შემოღობილ სიტყვებს, ვეფერები არდანერილ ლექსით...“

ისეთი სილალით გადმოსცემს საკუთარ განცდებს, ამავე დროს, ისე სიფრთხილითა და იდუმალადა შეპარვით განვდის საკუთარ სევდას, თუ როგორ ჰგავდა იდუმალი ღამე ზღაპარს, მის მიერ განცდილს, რომელიც სხვა სამყაროში, ცრემლმორეული, უფალს ემუსაიფება თავის მუზაზე, რომელიც ასე ძალიან სტკივა, რადგან მოგონებები, რომელსაც ის გრძობს, საოცრად არამქვეყნიურია და ირეალურია.

„ფანჯრის მიღმა ოცნებათა დარად, მე შენს სხეულს პოეტურად ვხატავ...“

„ერნესის“ ლექსთა ნყობა სილალეს ჰმატებს ადამიანს და სიყვარულით აღავსებს, თითქოს უბრალო და ერთი ამოსუნთქვი-



თაა დაწერილი ეს ფრაზები, არადა რამდენი განცდაა მასში ჩადებული. ერნესის შემოქმედება ნაღველნარევი სიყვარულივითაა, ზოგჯერ, თითქოს სურს დარწმუნდეს საკუთარ თავში, ანდა იმ გრძობაში, რომელ მუზასაც კი ის ამ სტრიქონით მიმართავს:

„დარდი უმონყალო ღამეს მოერიდა, ცამ კი დამაჯერა, ღმერთი პოეტია.“

„ერნესის“ შემოქმედებაზე მის პოეტურ სულზე, სიყვარულით გაჯერებულზე, იმ სიმაღლეებზე, რომელსაც ის სწვდება, მრავალი მაგალითის მოყვანა შემიძლია დასტურად იმისა, რომ ის თხემით ტერფამდე შემოქმედია, აქ დავასრულებ და დაგიტოვებთ თავად „ერნესის“ სიტყვებს. განსჯა კი თქვენთვის მომინდვია, რომ მას ტყუილად არ შევარქვი სულისმიერი, სიყვარულისფერი პოეტი.

„შენი და ჩემი დუმილი დავენროთ და მას დავარქვათ სულის პოეზია.“

უღრმესი პატივისცემით, დავით ქაქუთიას შემოქმედებისადმი,

ნინო ჩარგვიშვილი.

დათო ერნესი

ლაშაზი ყელი

ფერები ვნებების, დუმილი შეხების სიზმრებში ნახატი ღამაზი ყელი, არ ვიცი ოდესმე მე თუკი შეგხვდები, და თუ თეთრ ღრუბლებს მისწვდება ხელი,

შევერცხლილ ფოთლებში იბუდებს წვიმა, ოცნების ქარაფებს ზღაპრულად ელის, და მე კი მაცდურად მიღიმის სხვა ციდან, სიზმრებში ნახატი ღამაზი ყელი.

არც იცნობენ ნამდვილ ლექსებს

გრძობის ზღვები, გრძობის მთები, მერე ქარის ნისქვილები, ხან გიყვივდ მიყვარდები, ხან ჭაობში ვიძირები.

არც იცნობენ ნამდვილ ლექსებს, მეც რას მივედ-მოვედები, ვილაც მკარგავს, ვილაც მეძებს, სადღაც ქრება მომენტებიც.

ხან სრულიად მარტო ვრჩები, ხან უგულოდ ვიღიმები, გრძობის ზღვები, გრძობის მთები, მერე ქარის ნისქვილები...

მე, რა და სევდა

მსურდა მუზასთან მეცადა ფრენა, და მერე ლექსიც არ დამენერა, დავრჩით სულ მარტო მე ცა და სევდა, საოცარია ეს ბედისწერა.

კვლავაც დავეძებ უცნობ ნაპირებს, კვლავ პოეზია მომინადირებს, როგორც მხატვრები გრძობენ აპრილებს, მეც ისე აღვწერ გრძობის აწრდილებს.

ვგრძობ სიყვარულით საესეა გული, მსურდა ბავშვივით დროსგან გაქცევა, მაგრამ ამ ლექსმაც გაკანრა სული, დავრჩით სულ მარტო მე, ცა და სევდა.

სიყვარულს ჰგავდა


ინვოდა ღამის ფიქრთა სიმშვიდე, სიყვარულს ჰგავდა მთელი სამყარო, სულმა დახატა შენი სიმშვიდე, სხვა არაფერი მაშინ არ მახსოვს.

მე გეხებოდი მორცხვი თითებით, ინერებოდა ლექსით ვნება, ვერაფერს გრძობდნენ გულის სიტყვები, შენი სხეული იწყებდა ფრენას.

სიჩუმე იყო, დროს ვერ ვივინყებ, ამ სილამაზემ როგორ დამათრო, ინვოდა ღამის ფიქრთა სიმშვიდე, სიყვარულს ჰგავდა მთელი სამყარო...

წიგნის წარდგინება

„მუზების ქარავანი“ – საჯარო ბიბლიოთეკაში



2022 წლის 16 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ (საჯარო) ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში გაიმართა წიგნის - „მუზების ქარავანი“ წარდგენა, რომლის ხელმძღვანელი და ორგანიზატორი გახლავთ საბერძნეთში მოღვაწე, წიგნის რედაქტორ-შემდგენელი: ქალბატონი ირინოლა ხურციძე (ტყეშაველი), ავტორი საკუთარი პროექტებისა: „მინიატურული პოეზია“, „მინიატურული პროზა“, „რომ არ მიყვარდე“, საჩუქრის წიგნი - „მუზების ქარავანი“, ასევე 4 საკუთარი კრებულისა და ათეულობით ტომეულების თანაავტორი.



თანაავტორები თავიანთ გამოხატულებში დადებით ემოციებსა და სიხარულს ვერ მალავდნენ და მხარს უჭერდნენ ამ პროექტის შემოქმედებითი ჯგუფის წევრებს.

პოეტი დათო ქაქუთია (ნამყვანი) გამოიჩინა განსაკუთრებული დახვეწილობითა და ინტელექტუალურობით. მან შესანიშნავად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას, მხარს უმშვენივრდნენ მისი უთბილესი და უმშვენიერესი მეუღლე - ტექნიკური რედაქტორი: რუსუდან მიქე-

განსორება
ჩვენი გაზეთის 20. 04. 2022 წლის მე-3 ნომერში 49-ე სკოლასთან დაკავშირებით გაიპარა უნებლიე, დასანანი შეცდომა: 49-ეს ნაცვლად წერია მე-40, ხოლო დირექტორის მოადგილე ია ჯიქიას ნაცვლად – ლელა ჩაგურიშვილი. რედაქცია ბოდის იხდის ამის გამო.



მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050
აღმასრ. რედაქტორი: ნათია გურგენიძე
593 422 258
გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს 402010587
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედაქტორია
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ეკა მამუკაშვილი 599 944 592; კონსტანტინე გურგენიძე 592 777 181;
ნათია გურგენიძე 593 422 258; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მეტონია 591 320 705; გერმანე საზანოელი 593 022 913;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge
ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N4 (4603)
25 მაისი / 2022 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან
ISSN 1987-9113
9 771987 911009